ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

[esif,fsb7 !^ st,thdfkb7 @)!@ 139 (5729) afcb5 #) stshb

7 თებერვლიდან!
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
ყველასთვის
გასაგები
ვეფხისტყაოსანი“
წიგნი და გაზეთი ერთად 8 ლარი



# ბიძინა ივანიშვილი საკუთარი პარტიის პირველი ნომერი იქნება

რა პრინციპით შეირჩა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფი



გვ.3

## გია ცაგარეიშვილი: სააკაშვილმა უმრავლესობის წევრებს შეურაცხყოფა მიაყენა“

„უმცირესობამ გადაწყვიტა, სააკაშვილს სამარეში ჩაჰყვეს“

გვ.2



## სოსო შატბერაშვილი: ივანიშვილ-სააკაშვილის დაპირისპირება ამერიკის სცენარით ხორციელდება“



გვ.5

## ბუნებრივი ძეგლები ეროვნული პარკის ნაცვლად

რა მოიფიქრა გოგა ხაჩიძემ

გვ.2



## პატრიარქი იერუსალიმში მიემგზავრება

გვ.5



## უცხოელ პატიმრებს საქართველოს ციხეებში თეფშს და კოვზს არ აძლევენ

გვ.4



## სოფიო ხორგუანმა „ქართული პარტია“ დატოვა

გვ.6



## ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობას აუცილებლად მიიღებს

გვ.6

## ჯაბა ჯიშკარიანი: კოალიცია ივანიშვილს დამარცხებამდე მიიყვანს“

გვ.6



ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
ხბყუბპ .ფტყბ
* კფჰბ
! სტ,ტჰდქბლფყ





ISSN 1987-9385

7 საფრანგეთს საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს

4 ვის აწყობს საქართველოში ტერაქტები

7 ვინ გაათავისუფლებს სოხუმში მყოფ ქართველ მეზღვაურებს

4 საქართველო და აზერბაიჯანი რეგიონში მარტონი არ არიან“

# გია ცაგარეიშვილი: სააკაშვილმა უმრავლესობის წევრებს შეურაცხყოფა მიაყენა“

## „უმცირესობამ გადაწყვიტა, სააკაშვილს სამარეში ჩაჰყვეს“

თეა მარხვაიძე

**პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი დღე საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. ეს ხმაური და უმცირესობა-უმრავლესობაში დაწყებული პროცესები გია ცაგარეიშვილს აფიქრებინებს, რომ ამ ძალებში დიდი რღვევა დაწყებულია. ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი დარწმუნებულია, რომ მალე საინტერესო პროცესების მომსწრენი გავხდებით.**


გია ცაგარეიშვილი

გია ცაგარეიშვილს ეჭვი არც იმაში ეპარება, რომ მალე საპარლამენტო უმრავლესობას რამდენიმე წევრი დატოვებს. იმედოვნებს, რომ ასე მოხდება უმცირესობაშიც. მას ისევე, როგორც მის თანაფრაქციელებს უმცირესობა გულზე დიდად არ ეხატება. ამის მიუხედავად დეპუტატს მათზე მაინც შესტკივა გული.

– სამწუხაროა, რომ უმცირესობამ თავიდან ბოლომდე გადაწყვიტა, პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს მიხეილ სააკაშვილს. ესაა ამ ადამიანების „დამოუკიდებელი“ გადაწყვეტილება. ამ ადამიანებს ბევრს არც არავინ ეკითხება. გუშინდელი პლენარული სხდომა და ხელისუფლების წარმომადგენლების, განსაკუთრებით მათი რეაქციები, რომლებიც საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე არჩევნების უმაგალითო გაყალბებით არიან დაკავებულნი, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება, საპარლამენტო უმრავლესობა უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცაგარეიშვილმა 14 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე განვითარებული მოვლენებიც შეაფასა.

2 დღის წინ პარლამენტის სხდომაზე დიდი ხმაური იყო. დაპირისპირების ცეცხლი ცაგარეიშვილის თანაფრაქციელმა ჯონდი ბაღათურიამ დაანთო, რომელმაც თანაბრად მოუშალა ნერვები, როგორც უმრავლესობას, ასევე უმცირესობას. ვალში შარზე მყოფ ბაღათურიას არც კოლეგები დარჩნენ და დიდი შფოთი შეიქმნა. ამ შფოთიანობის მიზეზად ცაგარეიშვილი უმრავლესობის შავ დღეში ყოფნას მიიჩნევს.

– ის, რაც 14 თებერვლის სხდომაზე მოხდა, იმის დასტურია, რომ უმრავლესობა უმძიმეს მდგომარეობაშია. მაჭავარიანის, გოგორიშვილისა და სხვების გამოხტომები იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებაში ძალიან დიდი ბზარებია გაჩენილი. – ამბობს დეპუტატი.

ოპოზიციის ლიდერი პრეზიდენტსა და საპარლამენო უმრავლესობას შორის გამართულ შეხვედრასაც შეეხო. ეს შეხვედრა 13 თებერვალს შედგა. ნაცმოძი ამტკიცებს, რომ იმ შეხვედრაზე მათ პრეზიდენტმა ამერიკაში ვიზიტის ანგარიში ჩააბარა. ეს ზღაპარი არავინ დაიჯერა. მათ შორის არც ცაგარეიშვილმა, რომელსაც ეტყობა მმართველ გუნდში თავისი აგენტები ჰყავს. ყოველ შემთხვევაში ამბობს, რომ თითქმის დეტალურად იცის, რა მოხდა იმ შეხვედრაზე. ისიც ის ფრაზებიც, რომლითაც პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობას მიმართავდა. ამ ფრაზებს ის ჯერ-ჯერობით არ ახმაურებს.

– გვაქვს ინფორმაცია იმ თათბირიდან, რომელიც ავლაბრის რეზიდენციაში ჩატარდა და დაწვრილებით ვიცით, რა ეპითეტებით შეამკო სააკაშვილმა თავისი კოლეგები და რა საუბრები იყო მაშინ. არჩევნების უმაგალითოდ გამყალბებლებო, ფალსიფიკატორებო, მოვიდა ჟამი თქვენი განკითხვისა. საქართველოში თქვენი ზეობის რამდენიმე თვე დარჩა და ამას მალე წერტილს საზოგადოება დაუსვამს, რომელიც არჩევნებზე თავის ნებას გამოხატავს. რაც უნდა ილანძღოთ, იწყევლოთ დარბაზებში და მის მიღმა, თქვენი ბედის უკუღმა ტრიალს ვეღარაფერი შეაჩერებს, –– განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მისი თქმით, „ერთობა სამართლიანობისათვის მოუწოდებს იმ ადამიანებს, რომლებიც არ აპირებენ, სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვნენ, რომლებსაც ქართველი ხალხის წინაშე დანაშაული არ მიუძღვით, რომელთაც სისხლში არ აქვთ ხელი გათხვრილი, არ დაუგეგმავთ მიტინგების დარბევა, ხალხის მოტაცება, წამება და გვემა, გაეშვან „ნაციონალურ მოძრაობას“, რადგან მათი ადგილი იქ არ არის და ხსენებულ ფრაქციაში გაწევრიანდნენ.

– ერთად დავასრულოთ 8-წლიანი ჟამიანობა საქართველოში, მოვაშოროთ ქვეყანას ის ადამიანები, რომლებიც ძირს უთხრიან ქართულ სახელმწიფოებრიობას იმისათვის, რომ სავარძლები და პოლიტიკური მდგომარეობა შეინარჩუნონ. ამ ადამიანებს: გოგორიშვილებს, მაჭავარიანებს და სხვებს, დიახაც, ყველაფერი აქვთ დასაკარგი! მათ თანაბარ ბრძოლაში, დემოკრატიულ არჩევნებში წარმატების იოტისოდენა შანსიც არ აქვთ. ეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ყველამ კარგად იცის, – ამბობს ოპოზიციონერი დეპუტატი.

უმრავლესობის და უმცირესობის საეჭვო ურთიერთობებზე განცხადება დიმიტრი ლორთქიფანიძემაც გააკეთა. ლორთქიფანიძე ამ ეტაპისთვის ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარეა.

ის უმრავლესობის და უმცირესობის წევრებს პოლიტიკურ თაღლითობაში ადანაშაულებს. ამ თაღლითობის დამადასტურებელ მაგალითად კი ის ამბები მოხდა, რაც მიმდინარე წლის თებერვლის 3 დღეში დატრიალდა. 10 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით უმცირესობა-უმრავლესობაში ძალიან საინტერესო და უცნაური ამბები დატრიალდა.

დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ამ დღეებში საბოლოოდ მოხდა ქრისტიან-დემოკრატებისა და ნაციონალური მოძრაობის ინტეგრირება.

– ფრაქცია „ძლიერი საქართველოდან“ ყაზბეგის მაჟორიტარ დეპუტატ რომან მარსაგიშვილის წასვლის შემდეგ სამართლებრივად დაიშალა როგორც საპარლამენტო უმცირესობა, ისე აღნიშნული ფრაქციაც. თუმცა „ქრისტიან-დემოკრატებმა“ უმცირესობის გადასარჩენად თორთლაძის ფრაქციას მთავარი –– თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პოლიტიკური თანამდებობის პირი რატი მაისურაძე დაუთმეს. ამის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ვანის მაჟორიტარ დეპუტატ ბეჟან ხურციძესთან ერთად უმრავლესობიდან უშვებენ კობა კურდღელაშვილსაც, რომელმაც თურმე თავისი ადგილი სხვაგან ნახა, – იხსენებს ახლო წარსულს ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძის განმარტებით, მთავარი კომიტეტის წევრი, რომელიც ამავდროულად პოლიტიკური თანამდებობის პირია, მთავარი კომიტეტიდან და ფრაქციიდან ირიცხება და ინტერპარტიულ ფრაქციას უერთდება. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრი და ერთ-ერთი სახე, კობა კურდღელაშვილი კი თავის იდეოლოგიურ პლატფორმას თმობს და „ქრისტიან-დემოკრატებში“ უპარტიო წევრის სტატუსით ტრანსფორმირდება.

– ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუკი უმცირესობის იდეების გამოვლინებასა და ამის ხელშეწყობისათვის აუცილებელი გარემოებების ხელშეწყობაზეა საუბრი, ბატონი კურდღელაშვილი პირდაპირ თორთლაძის ფრაქციაში უნდა შესულიყო, მაგრამ მან აირჩია, „ქრისტიან-დემოკრატებში“ გადასულიყო. აღმოჩნდა, რომ ეს იდეოლოგიურ-პოლიტიკური პლატფორმა მისთვის სავსებით მისაღებია. ის იდეურად „ქრისტიან-დემოკრატია“, ხოლო რატი მაისურაძე თურმე არ არის იდეურად „ქრისტიან-დემოკრატი“. ეს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი კუთხით შესაფასებელი ნონსენსია. არ ვიცი, რა არგუმენტი აქვთ „ქრისტიან-დემოკრატებს“, მაგრამ რატი მაისურაძე საერთოდ არ არის გასული პარტიიდან და, აქედან გამომდინარე, უკვე უხეშად არის დარღვეული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რაც ფაქტობრივი მდგომარეობით, უმცირესობას დაშლილად აცხადებს. თუ მაისურაძე პარტიიდან გასული არ არის, მაშინ უმცირესობა დაშლილია, ვინაიდან მისი ასეთი ფორმით გადაბრძანება „ქრისტიან-დემოკრატების“ ფრაქციიდან თორთლაძის ფრაქციაში უკანონოა, – აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ის პარლამენტში განვითარებული მოვლენებით აღსფოთებულია. მაგრამ მაინც იმედიანად არის განწყობილი და თვლის, რომ „საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის რღვევის პროცესს ვერავითარი პოლიტიკური თაღლითობა ვერ შეაჩერებს“.

თეა მარხვაიძე

# ბუნებრივი ძეგლები ეროვნული პარკის ნაცვლად


გოგა ხაჩიძე

## რა მოიფიქრა გოგა ხაჩიძემ

ყველამ იცის, რომ მდინარე თერგზე განზრახულია 108 მგვტ-იანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. რომელიც სპეციალისტების თქმით, გარემოზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

ამას ხელისუფლება ცოცხალი თავით არ აღიარებს და არც ის ადარდებთ, რომ აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის ნაწილი – 8.6 ჰა გადაფარვაშია ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიასთან.

გარემოს დაცვის სამინისტროს განმარტებით, გადაუდებელი საჭიროების გამო, ხორციელდება აღნიშნული ფართობის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ამორიცხვა.

ამორიცხული 8.6 ჰექტარის საკომპენსაციოდ, ყაზბეგის ეროვნულ პარკს ემატება 339.94 ჰექტარი ტერიტორია. გოგა ხაჩიძის უწყების განმარტებით, დამატებით იქმნება სამი ახალი ბუნების ძეგლი:

1. სახიზნარის კლდის ბუნების ძეგლი – 335.7 ჰა
2. აბანოს მინერალური ტბის ბუნების ძეგლი – 0.04 ჰა
3. თრუსოს თარავენტინების ბუნების ძეგლი – 4.2 ჰა

სახიზნარის კლდის სვეტები – განვითარებულია სოფელი სიონის თავზე 3 კმ-ის მოშორებით მდინარე ტერხენას მარცხენა ნაპირზე მთა ქაბარჯინაზე. მოსახლეობა მათ „სახიზნარის კლდის სვეტებს“ უწოდებს, ვინაიდან წინა საუკუნეებში – ომიანობის პერიოდში, მტრის მოახლოვების დროს სოფლის მოსახლეობა სწორედ იქ იხიზნებოდა. აქ ერთიან სისტემას ქმნიან უცნაური სილამაზისა და საინტერესო გეოლოგიური აგებულების სვეტები,რომლებიც თერგის მიერ გადაჭრილ ვულკანურ ღვარს წარმოადგენენ,მთა ქაბარჯინა კი ამ ღვარის ბრტყელთხემიანი ბორცვია.აღნიშნული კომპლექსის დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან იგი დეკის ბუჩქების საუკეთესო ჰაბიტატს წარმოადგენს.

აბანოს მინერალური ტბა – წარმოიქმნება ზედაპირული კარბონატული ქანებიდან დედამიწის ზედაპირზე ნახშიროჟანგის ამავალი წყაროდან. აღსანიშნავია, რომ ამ ტბასთან მიახლოვებისას მცირე ზომის ცხოველები იხოცებიან. იგი იშვიათი წარმონაქმნია – გეიზერი, რომელსაც დაზიანებისაგან დაცვა სჭირდება.

თრუსოს ტრავერტინები – წყაროების მიერ დალექილი თეთრი და მოვარდისფრო შეფერილობის კიროვანი ტრავერტინები და ინტენსიურად განვითარების პროცესში მყოფი წყლის მიერ მოდელირებული ტრავერტინული „მინდვრები“ საერთო ფართობით 20 ჰა. იგი განლაგებულია თრუსოს ხეობაში. აღნიშნული ტერიტორია ერთ-ერთი პერსპექტიული საიტია ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით.

ვრცლად ბუნების 3 ახალი ძეგლის შექმნას დიდი ენთუაიაზმით არ უყურებს გარემოსდამცველი ირაკლი მაჭარაშვილი. მან მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აცხადებს, რომ ბუნების ახალი ძეგლების შექმნა „დარიალი ჰესის“ მშენებლობითა და ოპერირებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციას ვერ მოახდენს.

„დარიალი ჰესის“ მშენებლობისთვის გამოყოფილ ფართობში ეროვნული პარკის ტერიტორიაც მოხვდა. ჰესის მშენებლობის დასაწყებად „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ კანონში ცვლილება უნდა შევიდეს. კანონპროექტით, რომელიც პარლამენტში მთავრობამ შეიტანა, ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობი 8,7 ჰექტარით მცირდება.

„დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე უკვე იმსჯელეს. პროექტის მიხედვით, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებულ იმ ფართობს, რომელიც მშენებარე ჰიდროელექტროსადგურისთვის არის გამოყოფილი, დაცული ტერიტორიის სტატუსი უნდა მოეხსნას.

გარემოს დაცვის სამინისტრო ეროვნული პარკისთვის ტერიტორიის ჩამოჭრას გადაუდებელი საჭიროებით ხსნის:

„ბუნების ძეგლი სულ სხვა რამეა და დაცული ტერიტორია სხვა. დაცული ტერიტორიის გარკვეული ნაწილის სანაცვლოდ ბუნების ძეგლების შექმნა ადეკვატური გადაწყვეტილება არ არის,“ – აცხადებს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აცხადებს, რომ „დარიალი ჰესის“ მიერ გარემოზე მიყენებული ზიანი პარკის ტერიტორიიდან 9 ჰექტარის ამორიცხვით არ ამოიწურება. „ამ ჰესის ძირითადი უარყოფითი ზეგავლენა არის ის, რომ თერგის 85% მილში უნდა გადაისროლონ. მდინარის კალაპოტში მხოლოდ წყლის 15% დარჩება (თავდაპირველად პროექტის მიხედვით 10%-ის დატოვება იგეგმებოდა). პრაქტიკულად, თერგის ნაცვლად ხევის დიდ ნაწილში პატარა ღელე დარჩება, რაც უცილობელ უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე, მათ შორის ეროვნული პარკის არსებულ ფარგლებშიც. საინტერესოა გარემოს დაცვის სამინისტროს დასაბუთების მოსმენა, როგორ მოახდენს მდინარის დაშრობის კომპენსაციას ბუნების ამ სამი ახალი ძეგლის შექმნა“, – აღნიშნა მაჭარაშვილმა.

მისი თქმით, ყაზბეგის ეროვნული პარკის საზღვრების გაზრდა რამდენიმე ათასი ჰექტარით ისედაც დაგეგმილი იყო: ეროვნული პარკის გაფართოების მიზნით გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა საქართველოს რამდენიმე მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო. ჰესის მშენებლობისთვის დაცული ტერიტორიის ფართობიდან 8,7 ჰა-ს ჩამოჭრამ შესაძლოა, დონორის სამომავლო გადაწყვეტილებებზე უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილი საკუთარი პარტიის პირველი ნომერი იქნება

## რა პრინციპით შეირჩა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფი



შალვა ჯოხაძე

**ბიძინა ივანიშვილი ბოლომდე დარწმუნებული ჩანს, რომ საკუთარი პარტიის პრეზენტაციამდე საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს და პარტიასაც თავად ჩაუდგება სათავეში. ცოტა ხნის წინ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მომავალი პარტიის ლიდერი, ფორმალურად, მისი მეუღლე ეკატერინა ხვედელიძე იქნებოდა. ფორმალურად იმიტომ, რომ თავად ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა არა და არ აღირსეს. გუშინ, პარტიის საინიციატივო ჯგუფის წარდგენისას, ეკატერინა ხვედელიძე „ქართული ოცნების“ ოფისში არ გამოჩენილა. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პარტიის ლიდერი და პირველი ნომერი თავად იქნება, ამ ეტაპზე, მისი მეუღლის პოლიტიკაში მოსვლა კი საჭირო აღარ იქნება.**

– თუ პრეზიდენტი ისევ დარჩა კანონს გარეთ, მაშინ ეკა იქნება ჩვენი წარმომადგენელი, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თავდაჯერებულობა მისი იურიდიული ჯგუფის წევრების დამსახურებაა, რომელთაც არაერთხელ დაასაბუთეს, რომ სააკაშვილს მისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. 14 თებერვალს ამოიწურა ვადა, რომლის ფარგლებშიც ივანიშვილისათვის პასუხი უნდა მიეცათ. თუმცა ეს ვადა დაირღვა.

სამოქალაქო რეესტრი კანონს არღვევს, – ამის შესახებ განცხადება ბიძინა ივანიშვილის იურისტთა ჯგუფმა გააკეთა. საქმე ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა 2012 წლის 5 იანვარს განცხადება-შუამდგომლობით მიმართეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების თაობაზე. სააგენტომ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ვადად დაადგინა 2012 წლის 14 თებერვალი.

– 14 თებერვალს, სამუშაო დღის დასრულებამდე, სააგენტოს არ გამოუქვეყნებია გადაწყვეტილება და არც თავის ოფიციალურ ვებგვერდზე შეუტანია ცვლილება ამ საკითხთან დაკავშირებით (საინფორმაციო ბარათში მითითებულია, რომ დაინტერესებულ პირს რაიმე სახის ცვლილების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეუძლია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით). აქვე აღსანიშნავია, რომ დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მისაღებად, კანონის სრული დაცვით, გადახდილია 200-ლარიანი მოსაკრებელი.

14 თებერვალს, მთელი დღის განმავლობაში, სააგენტოს თანამშრომლები სატელეფონო საუბარში ადასტურებდნენ, რომ დასკვნა დღის ბოლომდე მზად იქნებოდა, – აცხადებენ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები.

ამის მიუხედავად, 14 თებერვალსვე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ განაცხადა:

– ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვადა დღეს იწურება, არასწორია. დასკვნა მიმდინარე თვის ბოლოსთვის იქნება მზად, მისი დეტალები კი არ ვიცი. ამ საკითხზე იურისტები მუშაობენ.

როგორც ბიძინა ივანიშვილის ადვოკატები აცხადებენ, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ამ მოქმედებით უხეშად დაარღვია კანონი და უმოკლეს ვადაში აპირებენ შესაბამის რეაგირებას.

გიორგი ვაშაძის განცხადება ადასტურებს კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებას და პირადად სააკაშვილს საერთაშორისო საზოგადოებამ თუ დიპკორპუსმა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მინიჭება მოსთხოვეს. უბრალოდ, ახლა დრო გაჰყავთ და თვის ბოლოს მოსალოდნელია, სააკაშვილისათვის კატასტროფის ტოლფასი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს, ივანიშვილი კვლავ საქართველოს მოქალაქე გახდეს.

სანამ ეს მოხდება, ბიძინა ივანიშვილი დროს არ კარგავს. გუშინ მან გვამცნო, რომ მის პარტიას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ერქმევა. ივანიშვილმა მომავალი პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრებიც წარუდგინა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– ესენი არიან: ელისო ჩაფიძე – ობიექტურობით ცნობილი ჟურნალისტი, რომელსაც ალბათ ძალიან კარგად იცნობთ;

ირაკლი ღარიბაშვილი – საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ პრეზიდენტი გახლდათ დღემდე, წარმატებული მენეჯერი. პოლიტიკაში პირველად იხილავთ მის სახელს;

არჩილ კბილაშვილი – ცნობილი ქართველი ადვოკატი, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ნამდვილი პროფესიონალი;

გურამ ოდიშარია – ცნობილი სოხუმელი მწერალი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებებში;

ვანო კიღურაძე – ცნობილი მეცნიერი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი;

ნინელი ჭანკვეტაძე – წარმატებული მსახიობი, თქვენთვის კარგად ცნობილი;

ირაკლი სესიაშვილი – უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი, პოლიტიკაში ცნობილი ფიგურაა;

გოგლა ჟვანია – გახლავთ წარმატებული ბიზნესმენი;

თამაზ ავდალიანი – ცნობილი ადვოკატი, უფლებადამცველი;

მანანა კობახიძე – ადამიანის უფლებათა დამცველი;

ნოდარ ხადური – ცნობილი ექსპერტი, ეკონომისტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თედო ჯაფარიძე – დიპლომატი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ყოფილი ელჩი აშშ-ში;

გია ვოლსკი – დიპლომატი საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი;

ზაქარია ქუცნაშვილი – იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი;

მაია ფანჯიკიძე – დიპლომატი, უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი ელჩი ნიდერლანდებსა და გფერმანიაში.

და კიდევ, წევრები, რომელთაც საპატიო მიზეზის გამო ვერ მოახერხეს დღეს მოსვლა, მაგრამ ჩვენი საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან: ლერი ხაბელოვი – ოლიმპიური ჩემპიონი, მოჭიდავე; ნუგზარ დავითაშვილი – მოღვაწეობს აშშ-ი, ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ; კახა კალაძე – ჩვენი ტიტულოვანი და საყვარელი ფეხბურთელი.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე, მომავალი პარტიის წევრებს არჩევს. მარტის ბოლოს, ყველაზე გვიან, აპრილის დასაწყისში კი ის პარტიის პრეზენტაციას მოაწყობს. სწორედ ამ დროისათვის არის პარტიის ყრილობა დაგეგმილი. ივანიშვილი გამოთქვა, რომ მომავალ პარლამენტში სამუშაოდ ადვოკატები, ადამიანის უფლებათა დამცველები სჭირდება და საინიციატივო ჯგუფშიც ამიტომ არიან ისინი ასე უხვად წარმოდგენილი. სამომავლოდ, პარტიულ სიაში ვიხილავთ მაგალითად, სოზარ სუბარს, ეკა ბესელიას (თუკი, ივანიშვილის განცხადებით, ის ამას ისურვებს). ივანიშვილის თქმით, ის დაიცავს გენდერულ ბალანსსაც.

საინიციატივო ჯგუფის წარდგენისას საზოგადოებას მიმართეს ნინელი ჭანკვეტაძემ და არჩილ კბილაშვილმა.

**ნინელი ჭანკვეტაძე:**

– დღეს ისტორიული დღეა, რადგან დღეს ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში თავისი შემოსვლით დაამსხვრია მითი, რომელიც მრავალი წელია არსებობდა. ჩვენც გვჯეროდა ამ მითისა,



რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, რომ უზნეო ადამიანები არიან პოლიტიკაში და ხელისუფლებაში. ვფიქრობ, ამ გუნდის შემოსვლით და საერთოდ, ბატონი ბიძინას გარშემო დარაზმული ადამიანების მეშვეობით ეს მითი საბოლოოდ დაიმსხვრევა. დღეს ჩვენ ვდგავართ გზაჯვარედინზე, შეგვიძლია ავირჩიოთ გზა, როცა ნამდვილად შეიძლება, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ წესიერი ადამიანები, ღირსეული ადამიანები, რომელთაც არაფრის ეშინიათ და რაც მთავარია, თავიანთი ქვეყანა უყვართ, მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმით.

მრავალი წელი ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ პოლიტიკა ფიულით კეთდება და ალბათ, არ გამოვრიცხავთ, რომ პოლიტიკაში ფული საჭიროა. ეს ჩვენზე უკეთესად ამ ხელისუფლებამ იცის. ერთადერთი მიზანიც, როდესაც ხელისუფლებაში მოდიან, თურმე, ფულია. ესეც ჩვენს ხელისუფლებას ძალიან კარგად მოეხსენება. მე ვფიქრობ, რომ ეს მითიც დაირღვევა, იმიტომ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არ იცის, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მძლავრი იარაღი აქვს. ეს იარაღი, საბედნიეროდ, ფულზე არ იყიდება. ვფიქრობ, ეს არის წესიერება, ღირსება, რაც მთავარია, საქმის უანგაროდ კეთება, მე ამას ვუსვამ ხაზს. ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ბატონი ბიძინას გარშემო დაირაზმებიან, სწორედ ამ ნიშნით შემოიკრიბებიან – უანგაროდ საქმის კეთება ქვეყნისთვის. სიტყვები: ენა, მამული, სარწმუნოება და უწმიდესმა და უნეტარესმა ამას დაუმატა – ადამიანი, ეს არ იქნება ლიტონი სიტყვები, რომელიც ჩვენ წლების განმავლობაში გაგვიუფასურეს. მხოლოდ ცარიელ სიტყვებად აქციეს, ეს იქნება ცხოვრების წესი, ადამიანების ცხოვრების წესი, რასაც ჩვენ ამდენი ხანი ველოდებით. მე ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან მძლავრ იარაღს ვფლობთ. აუცილებლად, როგორც გაზაფხულის მოსვლა შეუძლებელია ვინმემ დააკავოს, ასე ამ გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა შეუძლებელია, ვინმემ შეაჩეროს.

**არჩილ კბილაშვილი:**

– ადამიანი ფიქრისთვის არის გაჩენილი და მინდა ჩემი ფიქრები გაგიზიაროთ. რატომ ვდგავარ აქ და ახლა ეს ჩემი პირველი საჯარო გამოსვლაა. ამ წუთებში ჯერ კიდევ ადვოკატი და უბრალოდ მოქალაქე ვარ. ვნახოთ, ამ გამოსვლის შემდეგ როგორ იქნება დებიუტი პოლიტიკაში ადამიანისა, რომელსაც პოლიტიკასთან შეხება მანამდე არ ჰქონია. მე ალბათ, დასასრულს უნდა მეთქვა, მაგრამ ახლა ვიტყვი – აქ ვარ, რადგან მოხდა ჩემი მსოფლმხედველობისა და ზნეობრივი კატეგორიების მრწამსის ურთიერთგადაკვეთა. უფრო გასაგებად, მე ვიზიარებ ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს, რომლის შესახებაც ბატონმა ბიძინამ იმთავითვე განაცხადა. რა არის ჩემთვის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები? – ეს არის ადამიანის უფლებები და თავისუფლება, თავისუფალი ბიზნესი, რომელსაც სახელმწიფო მართავს, მაგრამ არ ერევა. თავისუფალი სასამართლო, თვითმმართველობა, მინიმალური რეგიონალური სახელმწიფოებრივი მმართველობა.

ეს ის ღირებულებებია, რომელსაც მე პატივს ვცემ და ჩემთვის ფასეულია. ამავდროულად, მე პატივს ვცემ იმ დიდ ღირებულებებს, როგორიც არის ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლური, რომელიც ბატონმა ბიძინამ, სანამ პოლიტიკაში მოვიდოდა, მანამდე განახორციელა. აღდგენილი ეკლესია-მონასტრები, მეოცე საუკუნის გვირგვინი – სამება, ასეულობით სკოლა, აღდგენილი, გაუმჯობესებული თუ შექმნილი ინფრასტრუქტურა. ეს არის ჩამონათვალი იმ ღირებულებებისა, რომელიც ეროვნულს, ტრადიციულს და მართლმადიდებლურს განეკუთვნება ჩემთვის. მახსენდება დოჩანაშვილის გმირის სიტყვები: ხმამაღლა კარგი არ უნდა იყო, ჩუმკარგი კარგი უნდა იყო და ეს ყველაფერი ბატონმა ბიძინამ გააკეთა იმდენად ჩუმად, რომ ადამიანებმა მისი სახეც კი არ იცოდნენ. ისინი, ვინც თავს პროდასავლელებად მიიჩნევენ, ისინიც, ვინც თავს ეროვნულ ნიადაგზე მყოფად მიიჩნევენ...

ამ ადამიანში არის განსახიერებული ეს საოცარი სინთეზი. ეს არის განუმეორებელი, უნიკალური მოვლენა, ჩემი აზრით, მეოცე საუკუნეში მინიმუმ და იქნებ, სრულიად საქართველოს ისტორიაშიც.

პოლიტიკაში თუ ადამიანი მიდის, ის შემდგარი პროფესიონალი უნდა იყოს, ეს აუცილებელია. პოლიტიკაში წამსვლელ ადამიანს მინიმუმ მატერიალური გარესამყარო მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს, რადგან საშიში არ გახდეს საზოგადოებისთვის. არას მქონეს პოლიტიკაში მისვლა საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ატარებს. პოლიტიკაში ადამიანი იმ ასაკში უნდა მივიდეს, როდესაც მისი სექსუალური ლტოლვის ადრეფიზიოლოგიური ეტაპი გადალახულია, ანუ მე მოწიფულ ასაკზე გესაუბრებით, როდესაც ადამიანი სრულად აცნობიერებს ყველა იმ რეალობას, რომელიც მის წინაშე არსებობს. მე როცა ამ სიტყვებს ვამბობ, 40 წლის ვარ, მყავს მეუღლე, სამი შვილი, ადვოკატის პროფესიაში უკვე დაახლოებით 18 წელია ვსაქმიანობ. მაქვს მეტნაკლებად მოწესრიგებული მატერიალური გარესამყარო და მეგობრები, რომლებიც იზიარებენ ამ ზნეობრივ ხედვას. მე მოვდივარ აქ, რადგან მე დასაკარგი მაქვს. მე ფსონად სწორედ ამას ჩავდივარ, რაც საკუთრივ დავასახელე – ამან უნდა განაპირობოს ჩემი პასუხისმგებლობა ხვალინდელ მოქმედებებზე, თუმცა ჩემი დასაკარგი რა მოსატანია იმასთან მიმართებაში, რაც ბატონმა ბიძინამ თავისი ქვეყნისათვის ფსონად დადო. დასასრულ, მე მინდა გამოვხატო რწმენა, რომ ეს ნაბიჯები არის დროული, ადეკვატური და ღირსებით შემკული, რისკენაც მივისწრაფით.

ბიძინა ივანიშვილის მომავალ პარტიაში ვიხილავთ გუგული მაღრაძეს და თუკი ქართულ პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა, სალომე ზურაბიშვილსაც. საინიციატივო ჯგუფში ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს შეყვანილი ისეთი ადამიანები, რომლებიც პოლიტიკაში აქტიურად იყვნენ ჩართული. მაგალითად, ზურაბ ჟვანიას ძმა, გოგლა ჟვანია პრაქტიკულად არც ერთ პარტიასთან არასოდეს არ ასოცირდებოდა. ადვილი მისახვედრია, რამ უბიძგა მას პოლიტიკაში ჩართულიყო. ჩვენ მას კომენტარი ვთხოვეთ.

**გოგლა ჟვანია:**

– პოლიტიკაში ასე, პირდაპირ არ ვყოფილვარ ჩაბმული, თუმცა მეტ-ნაკლებად აქტიური გახლდით, პასიური პოზიცია არასოდეს მქო-



ნია. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ქვეყანაში შეიქმნა ძალიან რთული ვითარება და ქვეყანა აქედან უნდა გამოვიდეს, უნდა დაუბრუნდეს ნორმალური განვითარების გზას. ამ ადამიანმა, ბიძინა ივანიშვილმა, თავად გადადო გვერდზე თავისი კომფორტული ცხოვრება და ჩაერთო საკმაოდ მძიმე პროცესებში. ამით მოგვიწოდა, რომ ჩვენც ასე მოვქცეულიყავით. ჩემი გადაწყვეყტილება არის ამაზე რეაქცია და ჩემი მხრივაც, საზოგადოებას მოვუწოდებ, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, რომ ქვეყანა გამოვიყვანოთ შექმნილი ვითარებიდან. ამ პროცესში იმიტომ ვმონაწილეობ, რომ იმედი მაქვს, ეს აუცილებლად შედეგს გამოიღებს.

ქართული პოლიტიკისადმი, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა. მაგრამ, აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, პოლიტიკურ კურსს ვიზიარებ თუ არ ვიზიარებ. მე მინდა, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს დემოკრატიული განვითარების გზას. მე მინდა თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ადამიანებს არ ატერორებენ, არ არის შიში, ელემენტარული, ხალხს ტელეფონზე ლაპარაკის არ ეშინია.

# უცხოელ პატიმრებს საქართველოს ციხეებში თეფშს და კოვზს არ აძლევენ

შალვა ჯოხაძე



სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა იანვარში ზუგდიდისა და ბათუმის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგი განახორციელა. ამ დაწესებულებების ლიკვიდაციის რეკომენდაციით სახალხო დამცველმა მთავრობას ჯერ კიდევ 2009 წელს მიმართა. დაწესებულებებში არსებული პირობებიდან გამომდინარე, იქ განთავსებული პატიმრებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა შეუძლებელია. არსებული მდგომარეობა ასევე, დაწესებულებებში მღრღნელებისა და პარაზიტების განადგურების საშუალებას არ იძლევა.

მონიტორინგის დროს, ბათუმის №3 დაწესებულებაში, რომლის ლიმიტიც არის 557 პატიმარი, განთავსებული იყო 564 ადამიანი, ხოლო ზუგდიდის №4 დაწესებულებაში განთავსებული იყო 342 პატიმარი, მაშინ, როდესაც დაწესებულების ლიმიტი 305-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს ემატება გადატვირთულობაც, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პატიმრების ყოფას.

– მონიტორინგი მიმდინარეობდა ზამთრის განსაკუთრებით ცივ პერიოდში. ზუგდიდისა და ბათუმის დაწესებულებებში არ არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა, საკნების გათბობა ხდება ელექტროქურების მეშვეობით, რაც არასაკმარისია – მონიტორინგის დროს საკნებში იყო სიცივე. ზოგიერთ საკანში ელექტროქურა საერთოდ არ ჰქონდათ, ვინაიდან, პატიმრების თქმით, ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს გათბობის საშუალების მიწოდებას.

ასევე, შეუძლებელია, ამანათით გამათბობლის მიღება. პატიმართა განცხადებით, მაღაზიაში შეძენილი ქურები უხარისხოა და რამდენიმე კვირაში იწვება. განსაკუთრებით აუტანელი სიცივე იყო ბათუმის №3 დაწესებულების ქალთა განყოფილებაში, რომელიც ორ საკანს მოიცავს. ერთ-ერთი საკანი შედგება სამი ოთახისგან, თუმცა პატიმრებს ჰქონდათ ერთი ელექტროღუმელი და მორიგეობით ათბობდნენ ოთახებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, 38 კვ.მ. საკნის გასათბობად გამოიყენებოდა ერთი ელექტროღუმელი, რომელსაც ერთი ფაზა გადამწვარი ჰქონდა.

პატიმრების გადმოცემით, ზუგდიდში საკნებს წყალი მიეწოდება დღეში სამჯერ, სხვადასხვა ხანგრძლივობით, მაქსიმუმ 3 საათით, ხოლო ბათუმში – დღეში ერთი საათით, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

ბათუმის №3 დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა არც გადასაფარებელი, არც თეთრეული და არც კოვზი და თეფში. მათი თქმით, ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო აღნიშნული ნივთების მიწოდება.

ორივე დაწესებულებაში პატიმრები აღნიშნავენ, რომ მათთან მოპყრობა გაუმჯობესებულია და რაიმე მნიშვნელოვან პრეტენზიას თანამშრომელთა მიმართ არ გამოთქვამენ.

– მიუხედავად აღნიშნულისა, მონიტორინგის ჯგუფისთვის ზუგდიდის №4 დაწესებულებაში შესამჩნევი იყო პატიმართა დაძაბულობა საკნის კარის გაღების დროს – ყველა მათგანი სასწრაფოდ ზურგზე ხელებდაწყობილი დგებოდა ფანჯარასთან.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსით პატიმრებისათვის დადგენილია არანაკლებ 1 საათი გასეირნების უფლება, ზუგდიდის №4 დაწესებულებაში გასეირნება 30-40 წუთს მოიცავს, ხოლო ბათუმის №3 დაწესებულებაში – 10-15 წუთს. შაბათ-კვირას პატიმრები სასეირნოდ საერთოდ არ გაჰყავთ. პრობლემურია პაემნების ხანგრძლივობაც. კანონით დადგენილია, რომ ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-დან 2 საათამდე ვადით, თუმცა ბათუმის №3 დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა გადმოცემით, პაემანის უფლებით სარგებლობენ 15-20 წუთი, ხოლო ზუგდიდში – 25-30 წუთი, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

ასევე, ომბუდსმენის ინფორმაციით, სატელეფონო კავშირის უფლება კანონით დადგენილი ვადით უზრუნველყოფილია მხოლოდ ზუგდიდის №4 დაწესებულებაში, ხოლო ბათუმის №3 დაწესებულებაში, ისევე, როგორც წინა წლებში, არ არის სატელეფონო ხაზი და არც ტელეფონის აპარატებია დამონტაჟებული, შესაბამისად, პატიმრები, უკვე რამდენიმე წელია, ვერ სარგებლობენ კანონით მინიჭებული სატელეფონო საუბრის უფლებით, რაც არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის ყურადღების საგანი, თუმცა დღემდე პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა.

# ვის აწყობს საქართველოში ტერაქტები

გულიკო ბალაძე

„ქართული ოცნების" უსაფრთხოებისა და თავდაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი ბიძინა ივანიშვილის პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრი გახდა.

ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ის დიდი ხანია ჩართულია პოლიტიკაში. ახლა კი, მისთვის დიდი პატივია ბიძინა ივანიშვილის გვერდით დგომა.


ირაკლი სესიაშვილი

ირაკლი სესიაშვილი იმედოვნებს, რომ შეიძლება ამ გზით მივაღწიოთ სამართლიანობას ქვეყანაში.

– ამ პროცესში მე დიდი ხანია ვარ. ბიძინა ივანიშვილის გვერდში დგომა ჩემთვის დიდი პატივია. პირდაპირ თუ არაპირდაპირ პოლიტიკაში დიდი ხანია ჩართული ვარ, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

***– და ყოველთვის იბრძოდით უსამართლობის წინააღმდეგ...***

– არ ვიცი. პირადად ჩემთვის მთავარი მიზანი სამართლიანობა იყო. ამან განაპირობა ის, რომ დღეს მე აქ ვდგავარ. მიმაჩნია, რომ შეიძლება ამ გზით მივაღწიოთ სამართლიანობას.

***– ბატონო ირაკლი. მოგეხსენებათ, ისრაელის საელჩოებთან ტერორისტული აქტის მოწყობის ფაქტი დაფიქსირდა, რომელსაც ირანს აბრალებენ. ასევე ირანისა და ისრაელის დაპირისპირების ფონზე თბილისში ისრაელის საელჩოსთან მანქანაში ბომბი აღმოაჩინეს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? რასთან გვაქვს საქმე?***

– ვფიქრობ, გამოძიებას უნდა დაველოდოთ. გამოძიებამ უნდა მოგვცეს ობიექტური სურათი, ვის მიერ არის ეს ტერორისტული აქტი და რა მიზანს ემსახურებოდა. მე, როგორც ექსპერტს, მაქვს ეჭვები, რომ ეს მესამე ძალის მიერ იყოს ჩადენილი და არა ირანის ან ჰესბოლას მიერ, იმიტომ, რომ ტერორისტულ აქტებს, როგორც წესი, აქვს კონკრეტული მიზანი. ეს მიზანი საზოგადოების შოკირებაა. მიზანი არის საპასუხო რეაქცია კონკრეტულ რაღაც საკითხებზე და მიმართულია სიტუაციის დაძაბვისკენ, ესკალაციისკენ. ამ შემთხვევაში ამის მიზანს ვერ ვხედავ ირანის მხრიდან, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შეიძლება ეს ერთგვარი პასუხი ყოფილიყო, იანვარში თეირანში ბირთვულ პროგრამაზე მომუშავე ერთ-ერთი ექსპერტის აფეთქებისა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ეს არის მესამე ძალის ჩადენილი ტერორისტული აქტი.

***– ვის შეიძლება უნდოდეს საქართველოს ჩართვა ამ პროცესში?***

– საქართველოსთან მიმართებაში ჯერ კიდევ კითხვა არსებობს, ვის მიერ არის მომზადებული. ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, მაგრამ შეიძლება კავშირი არსებობდეს. მე უფრო ვფიქრობ, რომ დელიში განხორციელებული ტერაქტი მესამე ძალის მიერაა ჩადენილი.

***– მესამე ძალაში ვის მოიაზრებთ?***

– ანუ, რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის მიერ არის ჩადენილი, რომელიც შესაძლოა არ იყოს კავშირში ირანთან. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ირანის ხელწერა იყოს. ამიტომ მხოლოდ გამოძიების შემდეგ შეიძლება საბოლოო ანალიზი გაკეთდეს.

***– საქართველოსთვის ასეთ პროცესებში ჩართვა ალბათ ძალიან ცუდია.***

– რა თქმა უნდა. ნებისმიერი სიტუაციის დაძაბვა რეგიონში უარყოფითად მოქმედებს მთლიანად რეგიონზე. მათ შორის საქართველოზე. მით უმეტეს, როდესაც შეერთებული შტატები საქართველოს პარტნიორია, ხოლო ირანში ბევრი ეთნიკური ქართველია (ფერეიდნელი ქართველია), ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ.

***– რა სახის საფრთხე არსებობს?***

– შეიძლება პირდაპირი საფრთხე არ არსებობდეს, მაგრამ არაპირდაპირი საფრთხე ძალიან ბევრია. მათ შორის, ეკონომიკური საფრთხე არსებობს, ასევე ძალიან ბევრი ლტოლვილთა ნაკადი შეიძლება წარმოიქმნას.

***– ამერიკასა და ირანს შორის რეალური სამხედრო დაპირისპირების საფრთხე არსებობს?***

– მე ვფიქრობ, რომ არა.

# საქართველო და აზერბაიჯანი რეგიონში მარტონი არ არიან"

**ირანში ვითარების გამწვავების ალბათობასა და იმაზე, თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო, რამდენად სავარაუდოა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის გამო საომარი მოქმედებების დაწყება, „ინტერპრესნიუსი" აზერბაიჯანელ ექსპერტს, პარლამენტარსა და აზერბაიჯანის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრს, რასიმ მუსაბეკოვს ესაუბრა.**


რასიმ მუსაბეკოვი

***– ბატონო რასიმ, ირანის ირგვლივ განვითარებული პროცესები, ერთი მხრივ ისრაელის, მეორე მხრივ რუსეთის აქტიურობა იმავე სირიასა და ირანთან მიმართებაში მიუთითებს, რომ ვითარება ახლო აღმოსავლეთში სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება. ამერიკელები კი აცხადებენ, რომ შეძლეს ისრაელის დარწმუნება, არ განახორციელონ თეირანზე დარტყმა, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, როგორ განვითარდება პროცესები. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ირანში საომარი მოქმედებების ალბათობა?***

– აშკარაა, რომ ირანის მხრიდან აქტიურობამ საომარი მოქმედებების დაწყების რისკები მნიშვნელოვნად გაზარდა. ძალიან ბევრი ვარაუდობს, რომ სამხედრო მოქმედებები ირანში შესაძლოა, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ანაც ზაფხულში დაიწყოს. რეალობა მესმის, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ირანის ხელმძღვანელობას ეყოფა კეთილგონიერება, არ გადაკვეთოს წითელი ხაზი, ნაპოვნი იქნება კონფლიქტის გადაწყვეტის პოლიტიკური საშუალებები და ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება.

***– ყველა თანხმდება, რომ ირანში საომარი მოქმედებების დაწყებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება, მაგრამ იგივე რუსეთი, რომელიც სირიის საკითხში საერთაშორისო ასპარეზზე თითქოს სამშვიდობო ინიციატივებით გამოდის, თადარიგს იჭერს და ირანში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარებს განიხილავს. რუსული წყაროების ინფორმაციით, რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განლაგებული თავისი სამხედრო ძალები მზადყოფნაში მოიყვანა. საქართველოს სანაპიროებთან ახლოს კურსირებენ რუსული ფლოტის ხომალდები. მოსკოვში არ გამორიცხავენ სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზებზე იარაღისა და საწვავის საქართველოს გავლით შეტანის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში თუ ირანში ომი მაინც გაჩაღდა, თქვენი ვარაუდით, რა სცენარით იმოქმედებს რუსეთი?***

– საერთოდ, ამაზე აბსურდული სცენარის მოფიქრება ძალიან ძნელი იქნებოდა. ამ გეგმით, რუსეთი პრაქტიკულად აცხადებს, რომ თუ დასავლეთი ირანზე დარტყმას განახორციელებს, საქართველოს ოკუპაციას მოახდენს. თავად რუსული საბაბი, ანუ სომხეთში რუსული ბაზების უზრუნველყოფის გეგმები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ირანში ომი დაიწყო, სომხეთს არაფერი არ ემუქრება. სომხეთი აცხადებს, რომ მისთვის ირანი მეგობრული სახელმწიფოა. რა სამხედრო ტვირთების შეტანაზე საუბრობს რუსეთი სომხეთში და რისთვის, გაუგებარია. აშკარაა, რომ რუსეთი საქართველოში შესასვლელად საბაბს ეძებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს საბაბი უსუსური და გაუგებარია. ვიმეორებ, რუსული არგუმენტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

საქართველოს, ესმის რა რისკების არსებობა არა ირანიდან, არამედ რუსეთიდან, დიდი ხანია, ცდილობს დაუახლოვდეს ნატო-ს და საქართველოს ტერიტორიაზე განალაგოს აშშ-სა და ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურა.

***– ყველაზე არასასურველ და ფორს-მაჟორულ ვითარებაში, როგორი შეიძლება იყოს ქართული მხარის ოპტიმალური მოქმედება?***

– ჩემთვის ძნელია საქართველოს ხელმძღვანელობის ნაცვლად საუბარი. ყველა შემთხვევაში, საქართველოს მოქმედება იმგვარი უნდა იყოს, რომ მინიმალურადაც არ გამოიწვიოს რუსული მხარის გაღიზიანება. ცხადია და გასაგებია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე მაინც შეიჭრა, საქართველოს რუსულ ძალასთან მარტო გამკლავება გაუჭირდება. ასეთ ვითარებაში, საქართველოს მხარეზე და საქართველოსთან ერთად უნდა ისაუბრონ აშშ-მ, ევროპელებმა და თურქეთმა, რომლებმაც რეგიონში აზერბაიჯანსა და საქართველოს მხარდაჭერის ხელი გაუწოდეს.

***– მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სამხედრო ბიუჯეტი ორჯერ გაზარდა, ბაქო აცხადებს, რომ სომხეთთან ომს არ აპირებს. ირანში ომის დაწყების შემთხვევაში, რამდენად სავარაუდოა ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საომარი მოქმედებების დაწყება?***

– მოვლენათა ამგვარი განვითარება საუკეთესო შესაძლებლობა იქნებოდა რუსეთისთვის, სომხეთთან მითიური კორიდორი საქართველოს ხარჯზე გაეკაფა, მაგრამ ეს ხომ საქართველოს ოკუპაციის ტოლფასი იქნებოდა. არც ის არის გასაკვირი, აზერბაიჯან-სომხეთს შორის კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთს ასეთი სურვილები რომ გაუჩნდეს.

ჩემი აზრით, ასეთი გეგმა და სურვილები ავანტურისტულია. მოსკოვმა უნდა იცოდეს, რომ ირანში ვითარების გამწვავების შემთხვევაში საქართველო და აზერბაიჯანი რეგიონში მარტონი არ არიან. შემთხვევითი სულაც არ იყო ბაქოში თურქეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის ვიზიტი, შარშან აზერბაიჯანში ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის საზღვაო ძალების მინისტრი, პენტაგონის დაზვერვის ხელმძღვანელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისისა და ბაქოს პარტნიორები რეგიონში ვითარების გამწვავების შემთხვევაში საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის ყველა ნეგატიურ შესაძლებლობას განიხილავენ.

ვიმედოვნებ, რომ მოსკოვსაც ეყოფა გონიერება, არანაირი საბაბი არ გამოიყენოს რეგიონში სამხედრო ძალის შემოსაყვანად. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებების დაწყების შესაძლებლობას – ნებისმიერი ჭკუადმყოფელი ადამიანისთვის ნათელია, რომ ირანთან დაკავშირებულმა სერიოზულმა რისკებმა არ უნდა დაამძიმოს რეგიონი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამხედრო დაპირისპირებით. ამაზე ბაქო არ წავა.

რაც შეეხება ვითარებას ირანთან დაკავშირებით. დღეს ძნელია საუბარი, როგორი გეოპოლიტიკური სიტუაცია ჩამოყალიბდება ვითარების განმუხტვის შემდეგ, ვინ რა დივიდენდებს მიიღებს. ეს უკვე პოსტკონფლიქტური პერიოდის განხილვის თემაა და მათ განხილვას ახლა აზრი არა აქვს.

***– კრემლი დიდი ხანია, ცდილობს სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში ბაქომ რუსეთს მომრიგებლისა და მშვიდობისმყოფელის სტატუსი მიანიჭოს. შესაძლოა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობების გამწვავების მიზანი სწორედ ეგ იყოს. რამდენად სავარაუდოა, ოფიციალურმა ბაქომ დააკმაყოფილოს კრემლის ოცნება და აზერბაიჯანულ-სომხურ კონფლიქტში მომრიგებელ-მშვიდობისმყოფელად აღიაროს?***

– ჩვენ კარგად ვნახეთ რუსეთის მშვიდობისმყოფელობა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში; ჩვენ რუსეთის ამგვარი მშვიდობისმყოფელობა არ გვჭირდება. თუ აზერბაიჯანმა ამაზე უარი თქვა 16 წლის წინ, როცა გაცილებით სუსტი ქვეყანა იყო, ახლა იმის მოლოდინი, რომ ბაქო რუსეთს რეგიონში ნებისმიერი საბაბით სამხედრო ძალით შემოსვლაზე დათანხმდება, არარეალური და გადაჭარბებულია.

***– ირანში ვითარების გამწვავების შემთხვევაში, როგორ იმოქმედებს ანკარა ერთი მხრივ ირანთან მიმართებაში, ხოლო მეორე მხრივ აზერბაიჯანთან მიმართებაში?***

– თუ თურქეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის საჯარო განცხადებებს გავაანალიზებთ, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ირანში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაშიც არ დაუშვებს ანკარა თურქეთის ტერიტორიის გამოყენებას. თუ ირანი აზერბაიჯანთან ურთიერთობაში ავანტურისტული გეგმების განხორციელების გზას დაადგება, მაშინ უდავოა, რომ ანკარა აზერბაიჯანს დაუჭერს მხარს. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ შემთხვევაში აზერბაიჯანის პოზიციები არა მარტო თურქეთმა, არამედ რუსეთმაც დაიცვას.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ ირანში ვითარების გართულებისა და სომხეთისთვის დახმარების აღმოჩენის საბაბით რუსული მხარის გეგმების რეალიზაციის დაწყების შემთხვევაში საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის იმედი უნდა ჰქონდეს. თქვენი აზრით, ფორს-მაჟორულ ვითარებაში რამდენად შეიძლება ჰქონდეს საქართველოს დასავლეთის დახმარების იმედი?***

– ძნელია იმაზე საუბარი, თუ რა კონკრეტული დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ აშშ-სა და თურქეთს შესწევთ უნარი, განუმარტონ და დაარწმუნონ რუსეთი, რომ საქართველოს მიმართ რუსული სამხედრო გეგმები ძალიან სარისკოა. **„ინტერპრესნიუსი"**

## პატრიარქი იერუსალიმში მიემგზავრება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II დღეს იერუსალიმში მიემგზავრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოდან აცნობეს, პატრიარქი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 18.00 საათზე გაფრინდება. უწმინდესი ისრაელში ჩარტერული რეისით თანმხლებ პირებთან ერთად მიემგზავრება.

საპატრიარქოს ინფორმაციით, უწმინდესის ვიზიტი ისრაელში არაოფიციალურია და იქ ჩასვლის სურვილი თავად გამოთქვა. იგეგმება ილია II შეხვედრა იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან, უნეტარეს თეოფილე III-სთან. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ისრაელში ერთი კვირა დარჩება და სამშობლოში 24 თებერვალს დაბრუნდება.

პატრიარქმა ქადაგებაზე ბრძანა, რომ თან მიაქვთ „ერთი ჩემოდანი“ მოსახსენიებლები“, რომლებიც მრევლმა დატოვა სამებაში და ისრაელში ყოფნის დროს ყველა მოსახსენიებელს წაიკითხავენ. უწმინდესმა ასევე თხოვნით მიმართა მრევლს, მათთვის ილოცონ.

ილია II იერუსალიმში ბოლოს 2000 წელს, აღდგომას ცეცხლის გადმოსვლის დროს ბრძანდებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოსა და უნგრეთს შორის შეთანხმება გაფორმდება

საქართველოსა და უნგრეთს შორის დღეს შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება გაფორმდება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი დიმიტრი გვინდაძე პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან ერთად უნგრეთში გაემგზავრა. ბუდაპეშტში ვიზიტის ფარგლებში, ხვალ უნგრეთის ეკონომიკის სამინისტროში დიმიტრი გვინდაძე და უნგრეთის ეროვნული ეკონომიკის მინისტრი გიორგი მატოლჩი ხელს მოაწერენ „საქართველოსა და უნგრეთის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ შეთანხმებას“. შეთანხმების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

სამინისტროში აცხადებენ, რომ უნგრეთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. 2008-2011 წლებში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 125 188 600 აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში ინვესტიციების წახალისება საქართველოს მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ შეთანხმებით იქმნება აუცილებელი პირობები, საქართველოში კერძო ინვესტიციების დაბანდების ხელშეწყობის მიზნით. ამჟამად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ შეთანხმება ძალაშია 36 ქვეყანასთან.

**ინტერპრესნიუსი**

## სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 15 თვემდე იზრდება

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 15 თვემდე იზრდება.

შესაბამისი ცვლილება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში შედის. კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 12 თვეა.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად დღეს დადგენილი 12 თვე სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირების შესაბამისად მომზადებისთვის საკმარისი არ არის.

კანონპროექტის ავტორი თავდაცვის სამინისტროა, ინიციატორი კი — დეპუტატი კახა სუხიშვილი.

**მედიანიუსი**

## კახეთში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კახეთში ცხოველების ვაქცინაცია დაიწყო. მსხვილფეხა საქონელი და სხვა შინაური ცხოველები ცოფის საწინააღმდეგოდ აცრეს.

სააგენტოს წარმომადგენელბი გუშინ ლაგოდეხის სოფელ ჩადუნიანსა და სოფელ გურჯაანში ჩავიდნენ სადაც ძაღლები და კატები აცრეს. ,,სოფელ გურჯაანში დაფიქსირდა ცოფი.შესაბამისად, ჩვენი სამსახურის ვეტერინარები შეუდგნენ საქმიანობას. ამ დროისათვის მაღალი ამთვისებადი ცხოველების დეზინფექცია დასრულებულია“, — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველსო უფროსმა თენგიზ თვარელიშვილმა.

ვაქცინაცია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

**მედიანიუსი**

# სოსო შატბერაშვილი: „ივანიშვილ-სააკაშვილის დაპირისპირება ამერიკის სცენარით ხორციელდება“

შორენა კოწოწაშვილი

**ვინ ყიდულობდა სააკაშვილის ხელისუფლებისთვის იარაღს და რატომ არის ივანიშვილი დამნაშავე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილთან.**

***— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებს და თქვენი აზრით, რატომ მოხდა ისე, რომ ოპოზიცია ერთმანეთს უფრო მეტად აკრიტიკებს, ვიდრე ხელისუფლებას?***

— იმიტომ, რომ ის პარტიები არ არიან ოპოზიციური, რომლებიც მეორე ოპოზიციურ პარტიას გააკრიტიკებენ. ის არის ფსევდოოპოზიცია და არა ნამდვილი ოპოზიცია. როგორ შეიძლება ნამდვილმა ოპოზიციურმა პარტიამ, ჭეშმარიტმა ოპოზიციურმა პარტიამ გააკრიტიკოს ლეიბორისტული პარტია და მას ხელისუფლებისგან ნაყიდი პარტია უწოდოს. ეს არის ყოვლად გაუგონარი ამბავი.

***— ამით ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე მიანიშნებთ?***

— ამ წუთას ივანიშვილის განცხადებაზე მივანიშნებ, მაგრამ გარდა ივანიშვილისა, ეს განცხადება გააკეთეს ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა.

***— რით ხსნით ძიძიგურის და დავითაშვილის მხრიდან მსგავს განცხადებებს?***

— მე ვერ გეტყვით, მათი მხრიდან ამ განცხადების გაკეთება რამ განაპირობა. ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ეს ადამიანები თავის დროზე იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წამყვანი ძალები. დღეს კი ბიძინა ივანიშვილის შტაბში არიან. ხან გაერთიანებულ საბჭოში იყვნენ, ხან „რვიანში“ იყვნენ და ხან — „ექვსიანში“. ანუ ხან სად არიან და ხან სად. ჩვენ სადაც ვიყავით, ისევ იქ ვართ და ჩვენი პოზიციის შეცვლას არ ვაპირებთ.

***— ბატონო სოსო, ივანიშვილის პასიურობა ბევრში კითხვის ნიშნებს აჩენს. ეს გამოიკვეთა იგივე ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებაში, რომელსაც ივანიშვილის სხვების მსგავსად გარემოცვის მსხვერპლი ჰგონია.***

— ჩვენ ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი გახლავთ წმინდა ამერიკული პროექტი. მისი ხელისუფლებასთან „დაპირისპირება“ არის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილი. მას დაევალა პროამერიკული ძალების შეკრება და ასე კონსოლიდირებული ძალით, პარლამენტში შეყვანა. რამდენად შეასრულებს ივანიშვილი ამ დავალებას, ეს ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო არა ქვეყნის და პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაციით, არამედ განხეთქილების განცხადებით. მან თავისი ლოგიკით უკვე დაყო პოლიტიკური სპექტრი რამდენიმე სეგმენტად. ამავე დროს განაცხადა, რომ ის იყიდიდა ნებისმიერ ჟურნალისტს, რომლის ყიდვაც მოუნდებოდა. ასეთი განცხადება არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტრის სამსახური. ასეთი მოქმედება მხოლოდ ჩვენი ქცვეყნის მტერს შეუძლია.

***— ანუ ივანიშვილი პოლიტიკაში სერიოზული შეცდომებით შემოვიდა?***

— შეცდომებით კი არა, დანაშაულით შემოვიდა. იმიტომ, რომ მისი პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში იყო ის, რომ მან დააფინანსა „ვარდების რევოლუცია“ და ეს შეცდომა კი არ არის, ეს არის დანაშაული. ამას თვითონ ივანიშვილი აცხადებს. შემდეგ მან ხელფასები დაუნიშნა ნაციონალ მინისტრებს, მთავრობას. ივანიშვილმა თავად განაცხადა, რომ ის აფინანსებდა შს სამინისტროს სტრუქტურებს. ის აფინანსებდა არმიას და თურმა ის აფინანსებდა, უფრო სწორად, ამარაგებდა ფორმებით და ფეხსაცმელებით და შემდეგ კი განაცხადა, მე ველარ ვაკონტროლებდი, რას ყიდულობდნენო. ჩვენ ბიძინა ივანიშვილს მოვთხოვეთ ყველა იმ ანგარიშფაქტურის გამოქვეყნება, რომელიც მან ნაციონალურ მოძრაობას გადაურიცხა. რატომღაც ის ამას არ აკეთებს. გამოაქვეყნოს ივანიშვილმა ის თანხები და ჩვენთვის ცნობილი გახდება, თუ სად წავიდა ის თანხები, რითიც ის სპეცნაზს აფინანსებდა და რითაც იგი ამ სპეცრაზმს სპეცტექნიკით ამარაგებდა. ამავე დროს ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის აფინანსებდა ქალბატონ შანდრა რულოვსს. 4,5 მლნ ლარი აქვს მისთვის გადარიცხული რადიო „მუზისათვის“. ასევე გამოაქვეყნდა სიები და გამოიკვეთა, რომ ივანიშვილი აფინანსებდა გიგა ბოკერიას ოჯახს, ნინო ანანიაშვილის ოჯახს. ის აძლიერებდა ამ ხელისუფლებას იმით, რომ აცხადებდა, რასაც ვაკეთებდი — მაგალითად, სკოლების რემონტზე, ვეუბნებოდი, თქვენ დაიბრალეთო. რა არის ეს, თუ არა დანაშაული?! ასე რომ, ბიძინა ივანიშვილი შეცდომებით კი არ მოვიდა პოლიტიკაში, მოვიდა დანაშაულით. ახლა კი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. საერთოდ, ჩვენ ნაკლებად ვაპირებთ ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკს. ჩვენ გვაქვს ჩვენი პროგრამა, გეგმა, ჩვენი სტრატეგია და ვაპირებთ მის გაგრძელებას.



სოსო შატბერაშვილი

***— შეცდომა რა იყო უფრო მეტად ივანიშვილის მხრიდან, გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს რომ გაემიჯნა თუ ის, რომ თქვა, შუა უნდა გაიკრიფოსო?***

— ერთიც შეცდომა იყო და მეორეც. საერთოდ, დიდი შეცდომაა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა იმიტომ, რომ ის პოლიტიკოსი არ გახლავთ. ის გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ ფულის ტომარა. ივანიშვილის გვარის ხსენებაზე არავის არ უჩნდება პოლიტიკის ასოციაცია. ყველას ფულის ასოციაცია უჩნდება. თუ ასე არ არის, ნებისმიერი ადამიანი გააჩერეთ და ჰკითხეთ, ბიძინა ივანიშვილთან ერთად რა ასოციაცია გიჩდებათ? ყველა გეტყვით, ფულს და სხვას არაფერს.

***— ლეიბორისტებმა ივანიშვილს შალვა ნათელაშვილთან ერთად დებატებში დაჯდომა მოუწოდეთ. გამოგეხმაურნენ თუ არა „ქართული ოცნებიდან“ და რა აქვთ სადებატო ნათელაშვილსა და ივანიშვილს?***

— არაერთხელ მოვუწოდეთ ბატონ ივანიშვილს დებატებში გამოსვლა. სხვათა შორის, პოლიტიკოსისთვის დებატებში გამოსვლა ფაქტობრივად დუელში გამოწვევაა. თუმცა მან ამას თავი აარიდა. ჩვენ ვიცით, რომ ივანიშვილი არის მშიშარა ადამიანი. მას ქუჩაში გასვლის ეშინია. ვითვალისწინებთ, რომ მას ქუჩაში გასვლის ეშინია. მეტსაც გეტყვით, მას თავის სასახლეშიც ეშინია და ჩვეულებრივ ფეხსაცმლით ჟურნალისტების მიღება და მათ ფაჩუჩებს ურიგებს, რომ ბაქტერიები და მტვრის ნაწილაკები არ შეიტანონ. ამიტომ ჩვენ მივდივართ დათმობაზე და ახლაც მოვუწოდებთ, ჩართვა გააკეთოს თავისი შუშის სასალიდან. ნუ გამოვა სასახლიდან, რახან ასე ძალიან ეშინია. მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი გამოხმაურება დებარებთან დაკავშირებით ჩვენ არ მოგვიღია. ჩვენ ივანიშვილი დებატებში მეორედ მას შემდეგ გამოვიწვიეთ, რაც მან გაზეთ „ასავალ-დასავალში“ კიდევ ერთხელ ახსენა ლეიბორისტული პარტია, როგორც ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე პარტია. ამას აცხადებს პიროვნება, რომლმაც ფაქტობრივად თვითონ მოახდინა ვარდების რევოლუცია და თვითონ დააფინანსა დღევანდელი მთვარობა და დღევანდელი ძალოვნები, სპეცნაზი და ა.შ. მან შეისყიდა მოსასმენი აპარატურა, რითაც ახლა ჩვენ გვისმენენ და საერთოდ, ჩვენს ტელეფონებს უსმენენ. მან შეისყიდა აკუსტიკური იარაღი, გაზის ბალონები, მან მოაწყო „7 ნოემბერი“, მისი ნაყიდი რეზინის ტყვიები ესროლეს ხალხს სწორედ 7 ნოემბერს. დღეს კი ეს ადამიანი ჩვენ გვეუბნება, რომ თითქოს ლეიბორისტები ვთანამშრომლობთ ხელისუფლებასთან. თვითონ კი თურმე ანგელოზი ყოფილა. აი, ამიტომ ვიწვევთ ივანიშვილს დებატებში. გამოვიდეს დებატებში და იქ გაირკვევა თეთრი და შავი.

***— ბატონო სოსო, რის იმედად სჯერა ივანიშვილს, რომ ის ამ საარჩევნო კანონით არჩევნებს მოიგებს?***

— არა, მას არ სჯერა. მას აქვს მხოლოდ და მხოლოდ აშშ-ის გარკვეული წრეების დახმარების იმედი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ამერიკის ელჩის ჯონ ბასის არაერთი ვიზიტი ივანიშვილთან. ასევე ბასის ჩარევა იმ კანონის შეცვლაში, რომელიც პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში იქნა მიღებული. ამ კანონს უკუქცევის ძალა ჰქონდა ნაციონალებიც წყალობით და ერთ საათში, პარლამენტის განხილვის გარეშე, ამერიკის ელჩმა შეაცვლევინა ხელისუფლებას. აი, ამისთანა ნაბიჯების იმედი აქვს ივანიშვილს და არა იმის, რომ ის არის ქარიზმატული ლიდერი. არც მნიშვნელოვანი კონცეფცია ან პროგრამა არ დაუდია. მას აქვს ერთადერთი იმედი, რომ ვაშინგტონიდან მას მოეხმარებიან ხელისუფლებაში მოსვლაში. მაგრამ მიშა სააკაშვილი არ აპირებს ხელისუფლების დათმობას. სხვათა შორის, არც ობამა არ აპირებს მის გაშვებას პენსიაში. ასე რომ, მათ შორის გაიმართება პიროვნული ბრძოლა. საბოლოოდ მათ დაგეგმილი აქვთ ხელისუფლების გაყოფა. აი, ეს არის ამერიკაში დაგეგმილი. ის არც მალავს, რომ გიგა ბოკერიასთან ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

***— რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ ივანიშვილი თავისი გარემოცვის მსხვერპლია და ის დამოუკიდებლად ვერ მოქმედებს? იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— არა. რატომ არის გარემოცვის მსხვერპლი. მას გარემოცვაში ჰყავს ის ადამიანები, რომლებზეც დაავლეს, რომ თავის გარემოცვაში ჰყოლოდა. სწორედ იმ პოლიტიკურმა ძალებმა დაავალეს მას ლეიბორისტულ პარტიასთან დაპირისპირება და იმ პარტიების პარლამენტში შეყვანა, რომლებიც აქამდე პარლამენტში ვერაფრით ვერ შეიყვანეს. ახლა ივანიშვილის საშუალებით აპირებენ მათ პარლამენტში შეყვანას.

## პირობით მსჯავრდებულს სამუშაო ინსტრუმენტები გადაეცა

საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის“ დირექციამ, პირობით მსჯავრდებულს, სასწავლო კურსის წარჩინებით გავლისთვის, სპეციალურ სერთიფიკატთან ერთად, მომავალი საქმიანობისთვის აუცილებელი შრომის ინსტრუმენტები გადასცა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, პრობაციონერი პაატა პ. ზუგდიდში არსებულ პროფესიულ სასწავლებელში, სამეგრელო — ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს რეკომენდაციით ჩაირიცხა. 3 თვის განმავლობაში იგი ავტომანქანის სავალი ნაწილის გარემონტებას სწავლობდა.

ცენტრის დირექციამ კურსდამთავრებულს სავალი ნაწილების ხელოსნისათვის აუცილებელი ხელსაწყოების სრული კომპლექტი გადასცა, რითაც მას დასაქმებისთვის რეალური საშუალება მიეცა. პრობაციის ბიუროს რეკომენდაციით, საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთმა“ სხვადასხვა პროფესიებში უკვე 12 პირობით მსჯავრდებული გადაამზადა. ამ დროისთვის ცენტრის ბაზაზე ბულალტერიის შემსწავლელ კურს კიდევ ერთი პრობაციონერი გადის.

პრობაციის ეროვნული სააგენტო მსჯავრდებულთა კონტროლთან ერთად, შეძლებისდაგვარად, მათი რესოციალიზაციის ფუნქციასაც ასრულებს. პრობაციის ოფიცრები პრობაციონერთა დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების პროცესში დახმარების გაწევას სხვადასხვა სასწავლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით ახერხებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში უსაფრთხოების საკითხებში ავღანელი მრჩეველი იმყოფება

საქართველოში აშშ-ის საელჩო უსაფრთხოების საკითხების ავღანელი მრჩეველს აბდულ ალი შამსის უმასპინძლებს. შამსი ჰელმანდის პროვინციის გუბერნატორის, გულაბ მანგალის მთავარი მრჩეველია უსაფრთხოების საკითხებში.

როგორც „მედიანიუსს“ აშშ-ს საელჩოდან აცნობეს, 16 თებერვალს აბდულ ალი შამსი გორში საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მსმენელებს შეხვდება, ხოლო 17 თებერვალს, ნატოს საინფორმაციო ცენტრში (გუდიაშვილის 7) – სტუდენტებს. სტუდენტებთან შეხვედრისას, აბდულ ალი შამსი ისაუბრებს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს როლსა და ჰელმანდის პროვინციაში შექმნილ ვითარებაზე, აგრეთვე უპასუხებს შეკითხვებს.

აბდულ ალი შამსი ჰელმანდის პროვინციის გუბერნატორის მრჩევლად ავღანეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2007 წლის მარტში დანიშნა. გუბერნატორ მანგალთან ერთად, ის აქტიურადაა ჩართული ჰელმანდის პროვინციაში მიმდინარე უსაფრთხოების ოპერაციაში.

აბდულ ალი შამსის მოვალეობაა საზოგადოების ფართო ფენებსა და რელიგიის მსახურებთან ურთიერთობა, მეამბოხე მებრძოლების შემორიგება, აგრეთვე პირობების მომზადება, რათა საერთაშორისო სამშვიდობო ძალებმა ჰელმანდის პროვინციის მართვა ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებს გადააბარონ.

**მედიანიუსი**

# სოფიო ხორგუანმა „ქართული პარტია“ დატოვა

თამარ ნინიძე

**„ქართული პარტია“ კიდევ ერთმა გამორჩეულმა ლიდერმა სოფიო ხორგუანმა დატოვა. ხორგუანი უახლოესი სამი თვის მანძილზე არ აპირებს რომელიმე პარტიაში გაწევრიანებას. „ახალი თაობა“ სოფიო ხორგუანს პარტიიდან წასვლის მიზეზებზე ესაუბრა.**

***— ჩვენი ინტერვიუს დროს, რამდენიმე თვის წინ ბრძანეთ, რომ კომფორტულად გრძნობდით თავს „ქართულ პარტიაში“ და არსად აპირებდით წასვლას. მას შემდეგ რა შეიცვალა და რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?***

— ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი თავს და ყოველთვის ვიტყვი, რომ არც „რესპუბლიკურ პარტიაში“ და არც „ქართულ პარტიაში“ არასდროს მქონია ჩემი აზრის გამოხატვის პრობლემა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, მეტსაც გეტყვით, მთელი აგვისტო და სექტემბერი ყოველ მეორე დღეს პრესკონფერენციას ვატარებდი, პარტიის თავმჯდომარეს სოზარ სუბარს და პოლიტიკურ მდივანს ეროსი კიწმარიშვილს საქმის კურსში ვაყენებდი, მაგრამ თემებთან დაკავშირებით შეთანხმება არ მქონია. რა თემაზეც მსურდა, იმ თემაზე ვაკეთებდი განცხადებებს, მე თავად ვეძებდი თემებს, პრობლემა არ მქონია, რომ ვინმე რაიმეთი შემზღუდავდა. აქ, ალბათ, უფრო თვითცენზურა არის, განსაკუთრებით ბოლო დროს ვხვდებოდი, რომ გავლენის მოხდენა არ შემეძლო პოლიტიკურ პროცესებზე, არც გადაწყვეტილებების მიღებაზე, ამ დროს კი მაქვს რაღაცა ტიპის შეფასებები, დამოკიდებულება კონკრეტული მოვლენების მიმართ; კი ვფიქრობდი, რომ ჩემი ამგვარი ტიპის განცხადებებით არ დავაზარალო პარტიის ინტერესი ან არ იყოს გამოყენებული პარტიის საწინააღმდეგოდ ან პირიქით, იმ ადამიანების მიმართ, ვის მიმართაც კეთილგანწყობილი ვარ და პოზიციას გამოვხატავ, იმიტომ, რომ უკეთესად იყოს საქმე, მოკრძალებული რჩევა მინდა მივცე, ისე, რომ ეს არ იყოს აღქმული, როგორც ჩასაფრებული ადამიანის პოზიცია.

***— მოდით დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?***

— დიახ, როცა კოალიცია შეიქმნა და ასეთი იმედი გაჩნდა, ამ დროს ქართული პარტია აღმოჩნდა ამ კოალიციის მიღმა, მე მაქვს ჩემი შეფასება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ამ დროს კი შეიძლება ეს იქითა მხრიდან აღქმული იყოს, როგორც ჩასაფრებულის პოზიცია. მსგავსი რამ მომხდარა და ამიტომ მქონდა დისკომფორტი და მეორე მხრივ, ჩემი პოზიციის გამოხატვა შეიძლება ჩემი პარტიის წინააღმდეგ ყოფილიყო გამოყენებული. არ მინდოდა ისე ყოფილიყო გაგებული, თითქოს მე განაწყენებული ვარ, რადგან ხელისუფლებასთან შეკრული პარტია დაგვარქვეს. ამ ეტაპზე ჩემთვის მნიშვნელოვანია არა პარტიული თავისუფლება.

***— ახლა, ამ ეტაპზე დისკომფორტს გრძნობდით?***

— დიახ, დისკომფორტს ვგრძნობდი, მაგრამ



სოფიო ხორგუანი

არა იმიტომ, რომ ვიღაცა ჩემზე ზეწოლას ახდენდა, არამედ მე მაქვს შინაგანი პასუხისმგებლობა, რომ როცა მინდა ვიღაცას ვურჩიო რისი გაკეთება უფროს სჯობს, მინდა, რომ ეს იმ ადამიანმა სწორად გაიგოს. შენ კეთილგანწყობილი ადამიანი ეუბნები ამას და არა მოწინააღმდეგე ბანაკიდან ამბობ რაღაცა წინადადებას.

***— ხომ არ იყო თქვენი ამ გადაწყვეტილების ბიძგი ის, რომ ივანიშვილმა პრესაში ოქრუაშვილი ხელისუფლებასთან შეკრულ პოლიტიკოსად გამოაცხადა და ისიც, რომ მერე ოქრუაშვილმაც პასუხი გასცა ივანიშვილს?***

— ივანიშვილის პირველივე წერილში იყო ნახსენები ქართული პარტია იმ პარტიებს შორის, რომლებიც სახელისუფლებო პარტიებად იყო ნახსენები, სიმართლე გითხრათ, პირიქით, ეს ბრალდება მოტივაცია იყო იმისათვის, რომ ამ პარტიაში დავრჩენილიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული პარტია არასოდეს იყო შეკრული ხელისუფლებასთან, ამირან იობაშვილი როდესაც გყავს პარტიაში, რომელიც მრავალჯერ ჰყავს ამ რეჟიმს ნაცემი, მის შვილს შვიდჯერ ტყვია ესროლეს, თვალთვალი გრძელდებოდა და ირაკლი დოლაბერიძეს ერთი კვირა დარაჯობდნენ სახლთან, როცა დარწმუნებული ხარ, რომ არც რუსეთუმე არა ხარ, არც ხელისუფლებასთან არ ხარ შეკრული, ეს დისკომფორტს არ გიქმნის. იმდენად მძაგს რუსეთის რეჟიმი, ჩემი ხელისუფლება მას რომ ემსგავსება, იმიტომ მაქვს რაღაც ტიპის პრეტენზია. არ მესმის, რატომ შეიძლება თეო ტლაშაძე ხელისუფლებასთან შეკრულ ადამიანად ჩათვალოს ვინმემ, მის ოჯახს რომ გადახედოთ, ყველა სამსახურიდან გამოაგდეს. ოქრუაშვილის წერილზე ვიტყვი ერთს, ყველა განსხვავებული ენით ვმეტყველებთ, ის რომ მას რაღაც ტიპის შენიშვნა ან რჩევა აქვს, ეს მეც ნორმალურ პროცესად მიმაჩნია. არასასიამოვნოა, როცა მაცხადებენ ხელისუფლებასთან შეკრულ პარტიად და პოლიტიკოსად, მეორე მხრივ კი, როცა ივანიშვილს ეუბნებიან, რომ გარემოცვამ შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს,

უნდა გქონდეს სიმართლის თქმის უფლება. ეს რეჟიმი მართლაც უნდა დავამარცხოთ. როცა ადამიანს აქვს სურვილი შეცვალოს არსებული მძიმე მდგომარეობა და იყოს ლიდერი, ის ყველანაირ წყენაზე მაღლა უნდა დადგეს.

***— შალვა რამიშვილის ბიზნესპარტნიორიც ხართ, ერთ კომპანიაში საქმიანობთ, ესეც ხომ არ იყო სტიმული პარტიიდან წასვლისა, რაკი რამიშვილი დღეს ბიძინა ივანიშვილის გუნდშია?***

— ციხიდან რომ გამოვიდა, ბოლო სამი წელია შალვა ჩემი პარტნიორია, პარტნიორები გავხდით მისი ციხიდან გამოსვლიდან ზუსტად ორი კვირის თავზე. ჩვენ სარეკლამო კომპანია გვაქვს. ბევრს გაუჩნდა შეკითხვა ჩემ მიმართ, ქართული პარტიის წევრი ხარ და ამ დროს ივანიშვილის დაკვეთებზეც მუშაობო. ისეთ ქვეყანაში მინდა ვიცხოვრო, სადაც ივანიშვილი იქნება, სააკაშვილი, ბოკერია თუ ბესელია, ჩემს კომპანიასთან პოლიტიკურ შეხედულებებს კავშირი არ ჰქონდეს. მე და შალვა პარტნიორები ვართ, ძალიან ვაფასებთ ამ პარტნიორობას. პოლიტიკის გამო ჩვენს სამსახურებრივ ურთიერთობებს არ ვაფუჭებთ.

***— ალბათ, პოლიტიკიდან არ წახვალთ. რა იქნება თქვენი პოლიტიკური გეგმები? გავრცელდა ინფორმაციები, რომ ქართული პარტიიდან ქართულ ოცნებაში გადახვედით, თან სოზარ სუბარის მეგობარი ხართ?***

— მე ბევრი მეგობარი მყავს, რა თქმა უნდა, სოზარი, შალვა, მყავს მეგობრები რესპუბლიკურ პარტიაში. ჩემი მეგობარი, იმედი მაქვს, ეროსი კიწმარიშვილიც იქნება; ამ ეტაპზე, მირჩევნია, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვიყო. სადემარკაციო ხაზები ხელისუფლებამ გაავლო, ჩარეცხილებად და ჩამრეცხავებად რომ დაყო ქვეყანა. მირჩევნია დღეს ეს თავისუფლება შევინარჩუნო, არ ვიყო არავისტი, არც არასოდეს ვიყავი არავისტი, მე მინდა ისე გამოვთქვა ჩემი პოზიცია, რომ ეს არ იყოს რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან პარტიის შეფასებად აღქმული.

***— როგორ აღიქვეს თქვენი გადაწყვეტილება ქართულ პარტიაში?***

— დღეს მანკიერი რამ ხდება, თუ პარტიიდან მიდიხარ, ის პარტია მიწაში უნდა ჩადო. რესპუბლიკური პარტიიდან წავედი და მადლობის მეტი არაფერი მითქვამს, ქართული პარტიიდან წავედი და მადლობის მეტს არაფერს ვიტყვი, ორივე პარტიაში დიდი გამოცდილება შევიძინე. ვუგულშემატკივრებ ყველა მათგანს, ჩემი იქ არყოფნით ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტის გაკეთებას შევძლებ, ვიდრე ქართულ პარტიაში დარჩენით გავაკეთებდი. დიდი ბრძოლები გადავიტანეთ ერთად, მძიმე ზაფხული გვქონდა, ყოველდღე ვიღაცას იჭერდნენ. ამ მხრივაც გამიჭირდება ამ ადამიანებთან დაშორება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის ჯობს თავისუფალი ვიყო პარტიისგან, მე მინდა პოლიტიკაში დარჩენა და ვაგრძელებ ჩემს საქმიანობას. ცხოვრება გრძელდება. მემარცხენე იდეოლოგიისკენ ვიხრები, მკითხეს კიდეც, ლეიბორისტებში ხომ არ მიდიხარო, არა, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, უახლოესი სამი თვის მანძილზე არც ერთი პარტიის წევრი არ ვიქნები.

## ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიაში მორიგი სხდომა გაიმართება

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიაში მორიგი სხდომა გაიმართება.

როგორც „ნიუსპრესს“ კომისიიდან აცნობეს, სხდომაზე განხილული იქნება პროექტ – „კარდაკარის“ ჩატარების მასშტაბებისა და ვადების, „კარდაკარის ჯგუფების“ საჭირო რაოდენობის დადგენის, რეგისტრატორთა შერჩევის წესის განსაზღვრის, ასევე „კარდაკარის“ ჩატარების ზოგადი წესისა და მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხები.

სხდომა დღეს 16 :00 საათზე გაიმართება.

ნიუსპრესი

## ჯაბა ჯიშკარიანი: კოალიცია ივანიშვილს დამარცხებამდე მიიყვანს“



ჯაბა ჯიშკარიანი

„თავისუფალი ფრონტის“ ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი მიიჩნევს, რომ კოალიცია ივანიშვილს დამარცხებამდე მიიყვანს. როგორც ჯიშკარიანმა პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ის არ იზიარებს ბიძინა ივანიშვილის პოზიციას რესპუბლიკურ პარტიასთან თანამშრომლობის შესახებ. მისი განმარტებით, რესპუბლიკური პარტია ოპოზიციის ერთობას ყოველთვის უშლიდა ხელს, ამიტომ ივანიშვილის რესპუბლიკელებთან დამოკიდებულება საწყენია.

სამოქალაქო ფრონტი ივანიშვილს პროდასავლურ კურსში არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ისინი ყოველთვის გაემიჯნებიან პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციას, რადგანაც ქართველი ხალხის გადასარჩენად და რეჟიმის შესაცვლელად პროქართული ორიენტაციაა საჭირო.

ჯაბა ჯიშკარიანი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მიესალმება, თუმცა ქართველ ხალხს ბრმა გადაწყვეტილებების მიღებას არ ურჩევს, როგორც ეს მოხდა ვარდების რევოლუციის დროს. ნიუსპრესი

# ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობას აუცილებლად მიიღებს

გულიკო ბალაძე

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფის წევრი და ადვოკატი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის არანაირი მიზეზი არ აქვს. ამიტომ გაუგებარია, რატომ აკეთებენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლები ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს.

ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მათ 5 იანვარს მიმართეს და მოითხოვეს დასკვნის გაცემა. დასკვნის გაცემის ვადა კი 14 იანვარს იწურებოდა.

ნაციონალური ხელისუფლებისთვის კი ბრძოლის პოლიტიკური მეთოდები მიუღებელია და არ უნდა, ასე მშვიდობიანად, კანონის ძალით შემოუშვან პოლიტიკურ მოედანზე ბიძინა ივანიშვილი. ეტყობა, ნაციონალები ისევ შოკში არიან და ვერ გადაუწყვეტიათ, რა ქნან, რა მაქინაცია მოიგონონ.

როგორც ჩანს, ვერ მოიფიქრეს, როგორ ჩამოაშორონ პოლიტიკურ ველს ბიძინა ივანიშვილი, რადგან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან, ნორმალურ, ცივილიზებულ დამოკიდებულებასა და ურთიერთობას შეჩვეულები არ არიან.

ნაციონალებს ვერ წარმოუდგენიათ, თავის პოლიტიკურ ოპონენტს, როგორ არ გადაელობონ. ამიტომ კანონის დარღვევებზეც მიდიან და რაღაც აუხსნელი შეზღუდვებიც შემოაქვთ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასათრგუნად.

აქამდე სააკაშვილი და მისი ჯგუფი პოლიტიკური ოპონენტების დასათრგუნად ძალისმიერ მეთოდებს იყენებდა. ახლა იმის საშუალება აღარ აქვთ, რომ ზონდერბრიგადები მიუსიონ. თუმცა, ძალისმიერ მეთოდებს შეფარვით ახლაც იყენებენ – ბიძინა ივანიშვილს ტელევიზიისთვის განკუთვნილ ტექნიკას უმტვრევენ. მსგავსი მეთოდების გამოყენებით, სურთ აიძულონ, გავიდეს პოლიტიკური ველიდან და ასპარეზი კვლავ მათ დარჩეთ, ანუ ამ „ცივილიზებულ“ ნაციონალ მოძალადეებს. საინტერესოა, ახლა რას მოიფიქრებენ დასკვნის გაცემის ვადის გადავადების საფუძვლად.

***— ბატონო ზაქარია, როგორც ცნობილია, ხელისუფლებას გუშინ უნდა წარმოედგინა დასკვნა ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან დაკავშირებით, მაგრამ ითქვა, რომ ბოლო ვადა 14 თებერვალს არ იყო და კიდევ აქვთ დრო დასკვნის წარმოსადგენად. რა ხდება ამ საქმის ირგვლივ?***

— ჩვენ 5 იანვარს მივმართეთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და მოვითხოვეთ დასკვნის გაცემა ნატურალიზაციის გზით ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მიცემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაჩქარებული წესით წარვადგინეთ 200 ლარიანი მომსახურების ქვითარი. 14 თებერვალს ამოიწურა ამ დასკვნის წარმოდგენის ვადა. საქმე ეხებოდა დასკვნას, რომელი დასკვნის მიხედვითაც უნდა შემოწმებულიყო, ბიძინა ივანიშვილი რამდენად აკმაყოფილებდა ორგანული კანონის მოთხოვნებს. ჰქონდა თუ არა ბიზნესი ან საკუთრება საქართველოში, იცოდა თუ არა ქართული ენა, იცოდა თუ არა ისტორიისა და სამართლის ზოგადი საფუძვლები. ამის შემოწმება ძალიან მარტივია. თუ პიროვნებას საქართველოში აქვს მიღებული საშუალო და უმაღლესი განათლება, ეს ნიშნავს, რომ ამ პიროვნებას საქართველოში რამდენჯერმე აქვს ჩაბარებული გამოცდა როგორც ისტორიაში, ასევე ქართულ ენასა და სამართლის ზოგად საფუძვლებში. ამიტომაც, 15 თებერვალზე ადრეც შეიძლებოდა ამ დასკვნის გაცემა. არავითარი ხარვეზი დადგენილი არ ყოფილა. ადმინისტრაციულ კანონს სამდღიანი ვადა აქვს ხარვეზის დადგენისთვის. სამდღიანი ვადა 8 იანვარს ამოიწურა. აქედან გამომდინარე, გუშინდელი სამოქალაქო რეესტრის ხელმძღვანელების განცხადება ურთიერთწინააღმდეგობრივია.

***— თუ ხარვეზი წინასწარ დადგენილი არ ყოფილა, ახლა რატომ განაცხადეს, ხარვეზი იყოო?***

— ვაშაძემ განაცხადა, რომ თვის ბოლოს იქნებიდა დასკვნა. ვაშაძის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა კი განაცხადა, მე მგონი, რაღაც ხარვეზებიაო. ამიტომაც, დღეს ჩვენ შევდივართ განცხადებით და ვითხოვთ ამ ხარვეზის, თუ თვის ბოლოს პასუხის გაცემის გადავადების საფუძველს, ანუ მოვითხოვთ პასუხს, რას დაეფუძნენ ისინი, როცა თქვეს, თვის ბოლოს იქნება პასუხიო, ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური რას დაეფუძნა, როცა თქვა, მგონი, რაღაც ხარვეზს აქვს ადგილიო.

***— ზოგადად რომ ვთქვათ, პირისთვის მოქალაქეობის მიცებაზე რა შემთხვევაში შეუძლიათ თქვან უარი?***

— ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიცემაზე უარი შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, თუ პირი ბრალდებულია საერთაშორისო დანაშაულის ჩადენაში, ან საერთაშორისო ძებნილია, ან საზოგადოების საფრთხის მატარებელი პირია. ეს სამი ნიშანია. ან რა ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეიძლება უარი ეთქვას მას. არც ერთი ეს მიზეზი არ არსებობს, რომ ბიძინა ივანიშვილს უარი ეთქვას მოქალაქეობაზე. უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი ბუნებაში არ არის.

***— პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხებას გეგმავს, საფრთხედ ხომ არ აღიქვამენ და ხომ არ შეუძლიათ რაიმე შეთხზან?***

— არავითარ შემთხვევაში. როდესაც ადამიანი მოდის და აცხადებს, მე არჩევნების გზით მშვიდობიანად მინდა შევცვალო ხელისუფლებაო, ძალიან მონდომებულიც რომ იყო, საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად ვერ გამოაცხადებ. ისინი ამას ვერ შეძლებენ, რადგან მათ მოუწევთ დასაბუთება. ამ შემთხვევაში ეს არ ეხება ერთი-ერთი უცხოელის სურვილს, ნატურალიზაციის გზით გახდეს საქართველოს მოქალაქე. ამ შემთხვევაში საუბარია ერთ-ერთ წამატებულ პიროვნებაზე, რომელმაც გამოწვევა ესროლა დღევანდელ რეჟიმს და მზად არის ქართველ საზოგადოებასთან ერთად შეცვალოს ის.



ზაქარია ქუცნაშვილი

***— ამ შემთხვევაში ის ფაქტი არანაირ როლს არ თამაშობს, საქართველოში რომ არის დაბადებული?***

— დაბადებით საქართველოს მოქალაქეობა არის მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთი სახე, მაგრამ როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაშინ ბატონი ბიძინა რუსეთში ცხოვრობდა, ამიტომ დაბადებით საქართველოს მოქალაქე ამ გარემოების გამო ვერ გახდა. მოქალაქეობის მიღების სამი გზა არსებობს. დაბადებით, ნატურალიზაციით ან დამსახურების გამო მინიჭებით. ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა, ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოთხოვნა.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბიძინა ივანიშვილის ადვოკატებმა დასკვნის გაუცემლობის მიზეზების გასაგებად გუშინ ოფიციალურად მიმართეს.

# ახალი მემარჯვენეები სამეგრელოში მოსახლეობას შეხვდნენ

„ახალი მემარჯვენეები“ მოსახლეობასთან შეხვედრებს სამეგრელოში განაგრძობენ.



მანანა ნაჭყებია

როგორც „ნიუსპრესს“ „ახალი მემარჯვენეებიდან“ აცნობეს, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონის კურატორი მანანა ნაჭყებია სამეგრელოში მოსახლეობას შეხვდა.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას მოსახლეობასთან შეხვედრისას ნაჭყებიამ მათ „ახალი მემარჯვენეების“ „სოფლის პროგრამის“ პრიორიტეტები გააცნო.

სოფლის მოსახლეობის განცხადებით, მათი ძირითადი პრობლემა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაა, ვინაიდან ხელი არ მიუწვდებათ ტექნიკაზე, საწვავზე, სასუქსა და შხამ-ქიმიკატებზე.

დღესვე მანანა ნაჭყებია ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შოთა მიქავასთან და პარტიის რეგიონული სამსახურის უფროსთან ანზორ სანდროშვილთან ერთად პარტიულ აქტივს შეხვდა.

ნიუსპრესი

# საქართველოს უმეტეს რაიონებში დღეს ითოვებს

საქართველოს უმეტეს რაიონებში დღეს თოვლია მოსალოდნელი.

როგორც „ნიუსპრესს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან აცნობეს, დასავლეთ საქართველოში ხვალისთვის ტემპერატურა მკვეთრად დაეცემა და ითოვებს. აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა შენარჩუნდება, თუმცა უმეტეს რაიონებში თოვლია მოსალოდნელი.

რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისში 5 გრადუსი ტემპერატურა დაფიქსირდება.

სინოპტიკოსების პროგნოზით არამდგრადი ამინდები თებერვლის ბოლომდე შენარჩუნდება.

ნიუსპრესი

# დიმიტრი შაშკინმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრა გამართა



დიმიტრი შაშკინი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მოადგილეს განათლებისა და კულტურის დარგში ანა სტოკს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს და რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ სიახლეებს. განსაკუთრებული აქცენტები პროგრამაზე „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ გაკეთდა, რომელიც გასულ წელს დაინერგა და მეორე წელია წარმატებით ხორციელდება, საქართველოს მხრივ გამოითქვა მზადყოფნა, რომ ეს გამოცდილება გაიზიარონ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე პატრიარქს შეხვდა

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე და „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძე კათოლიკოს – პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეწვია, – აცნობეს „მედიანიუსს“ „დემოკრატიული მოძრაობიდან“.



ნინო ბურჯანაძე

მათივე ინფორმაციით, საუბარი შეეხო ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას. ნინო ბურჯანაძემ უწმინდესსა და უნეტარესს თავისი მოსაზრებები გააცნო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და საგარეო გამოწვევებზე.

„ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და არის მის უწმინდესობასთან საუბარი, მისი აზრის მოსმენა, როგორც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ასევე ქვეყნის მომავალი განვითარების საკითხებზე. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ისეთ ბრძენ ადამიანთან, როგორიც მისი უწმინდესობა გახლავთ, ყოველთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისათვის, რათა სწორად იქნას დანახული, თუ რა სჭირდება ჩვენს სამშობლოს დღეს“, -განაცხადა შეხვედრის დამთავრების შემდეგ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ.

მედიანიუსი

# საფრანგეთს საქართველოში ახალი ელჩი ჰყავს

**საფრანგეთმა თავისი სრულუფლებიანი და საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში უკვე გამოგზავნა.**

ნათია ხურცილავა



ერიკ ფურნიე

საქართველოში საფრანგეთს ახალი ელჩი რენო სალენი წარმოადგენს.

საფრანგეთის უკვე ყოფილ ელჩს საქართველოში, ერიკ ფურნიეს დიპლომატიური უფლებამოსილების ვადა საქართველოში 2011 წლის 23 ოქტომბერს ამოეწურა.

2007 წლის სექტემბრიდან ერიკ ფურნიე, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში საფრანგეთს წარმოადგენდა საქართველოში.

2011 წელს ფურნიე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოდან სამშობლოში დაბრუნებული ფურნიე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის რანგში გააგრძელებს მუშაობას.

ერიკ ფურნიეზე შეიძლება ითქვას, რომ აქტიური ელჩი იყო. სწორედ მას უკავშირდება სკანდალური ინტერვიუ, სადაც მან დიპლომატისთვის შეუფერებელად, დიპლომატიური პროტოკოლის დარღვევით განცხადება გააკეთა.

ფურნიე ჟურნალისტის მიერ გადაგზავნილმა კითხვამ გააბრაზა, სადაც ჟურნალისტი ელჩს პასუხისმგებლობაზე ეკითხებოდა 2008 წლის ომთან დაკავშირებით, როდესაც ბუქარესტის ნატოს სამიტზე სწორედ საფრანგეთმა და გერმანიამ უარი უთხრეს საქართველოს მაპის მიღებაზე.

– ვინ წამოიწყო ომი, პირველმა ვინ ისროლა ცხინვალის მიმართულებით? თქვენ ვერ შეძლებთ ისტორიის ხელახლა დაწერას და პასუხისმგებლობის სხვაგან ძებნას. და არა იქ, სადაც არის ის. – ამბობს ფურნიე. მეტიც, ის უფრო შორს მიდის და 1921 წლის პერიპეტიებს იხსენებს.

– ამასთან დაკავშირებით თუ ცოტა შორს მოძებნით, ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოთ მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც 1921 წელს ოსეთის მოსახლეობა გაჟლიტა და არა საფრანგეთს ან სახელმწიფოებს. ამ საქმეში რეალური პასუხისმგებლობა ორივე მხარის ნაციონალიზმს ეკისრება. – ასე შეეცადა თავისი განცხადების დაბალანსებას მაშინ ფურნიე.

ამ ინტერვიუს გარდა, უნდა ითქვას, რომ ერიკ ფურნიე სრულიად სამართლიანად იცავდა მედიის უფლებებს. მისი განცხადებით დემოკრატიის მშენებლობაში მედიის როლი განუზომლად დიდია.

საფრანგეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულმა ელჩმა საქართველოში რენო სალენმა რწმუნებათა სიგელების ასლები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თორნიკე გორდაძეს გუშინ გადასცა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გაიმართა შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს საქართველო-საფრანგეთის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები.

მინისტრის მოადგილემ, გორდაძემ მადლობა გადაუხადა ელჩს საფრანგეთის მიერ საქართველოსათვის გაწეული მხარდაჭერისთვის და უსურვა წარმატებები სამომავლო საქმიანობაში.

თავის მხრივ, ელჩმა გამოხატა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.

# ვინ გაათავისუფლებს სოხუმში მყოფ ქართველ მეზღვაურებს

ნათია ხურცილავა

**პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემის, ეკიპაჟის ოთხი ქართველი წევრის შესახებ, რომლებიც სოხუმში იმყოფებიან, კომენტარი გააკეთა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა თემურ იობიძემ.**



როგორც, სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ იობიძემ განმარტავს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი უწყება მუშაობს და საკითხის გადაწყვეტას საერთაშორისო გზებით ცდილობენ.

– დახმარებისთვის რამდენიმე კვირაა, მოგვმართეს მეზღვაურების ოჯახების წევრებმა. ოკუპირებული ტერიტორიაა, დახურული ზღვაა და გემი იქ საერთოდ არ უნდა შესულიყო. მიმდინარეობს მუშაობა, ჩართულია საგარეო საქმეთა სამინისტროც. რა მოხდა რეალურად, არ ვიცით, მაგრამ ჩვენ იმაზე ვმუშაობთ, რომ ისინი სოხუმიდან გამოიყვანონ. – განაცხადა იობიძემ.

რაც შეეხება მეზღვაურების ხელფასებს, რომელიც ერთი წელია არც ერთ მათგანს არ მიუღია, როგორც იობიძე ამბობს, საერთაშორისო პრაქტიკა, ისევ და ისევ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის გამო, ამ შემთხვევაში გამოყენებული ვერ იქნება და მხოლოდ გემის მეპატრონის „მორალზეა“ დამოკიდებული, გადაიხდის თუ არა მეზღვაურების ანაზღაურებას.

ამასთან, საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირების წარმომადგენელი მერაბ ჩიჯავაძე განმარტავს, რომ ბოლო ინფორმაცია აფხაზეთში მყოფი ქართველი მეზღვაურების შესახებ გასული წლის ოქტომბრის შემდეგ არ აქვს. მისივე თქმით, მეზღვაურებთან დაკავშირებას და რაიმე ღონისძიების გატარებას ვერ ახერხებენ ვერც მისი რუსი კოლეგები.

პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემის ეკიპაჟის ოთხი ქართველი წევრი, ერთი წელია ოკუპირებულ აფხაზეთში, სოხუმის პორტში იმყოფება, მათი ოჯახების წევრები, შესაბამის უწყებებს დახმარებას სთხოვენ. ფოთელი გიორგი საპანაძე, ბათუმელები – მანუჩარ ბოლქვაძე, აზიზ ვარშანიძე და სულხან ცეცხლაძე, თურქული კომპანიის, კუთვნილი გემის ბორტზე, 6-თვიანი ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წლის 21 თებერვალს ავიდნენ და როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, მოტყუებით, კანონის დარღვევითა და თაღლითური გზით, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიყვანეს. მეზღვაურებს გასამრჯელოს სახით ამ დრომდე არანაირი თანხა არ მიუღიათ.

როგორც ცნობილია, ქართველი მეზღვაურების დამსაქმებლის ლაურა ჩადუნელის, განცხადებით, აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ჩართულია საქართველოს კონსული და მეზღვაურების გამოყვანა ოკუპირებული ტერიტორიიდან ერთ კვირაში მოხდება.

ამასთან, ჩადუნელის დაპირებების არ სჯერა ერთ-ერთი მეზღვაურის მეუღლის, მარინა საპანაძის განცხადებით, ასეთი დაპირებებით ერთი წელი გაატარეს.

მისივე თქმით, მეზღვაურებს არც საწვავი აქვთ, არც საკვები პროდუქტები და არც მედიკამენტები.

როგორც ცნობილია, ქართველი მეზღვაურები გემიდან გადმოსვლასაც ვერ ახერხებენ, რადგან მათ კაპიტანმა შეგნებულად წაართვა ან დაუკარგა მეზღვაურის პასპორტები.

ბოლო დროს ქართველი მეზღავურების მიმართ არაერთი კანონდარღვევა დაფიქსირდა. მეზღვაურები, რომლებიც სამუშაოს ეძებენ და ყველა პირობაზე თანხმდებიან იმ პირობით, რომ მხოლოდ ისინი დასაქმდნენ, ხშირად მსგავსი გაუგებრობის თუ თვეობით ტყვეობის მსხვერპლნი ხდებიან.

ხშირ შემთხვევაში მათი დახსნა სახელმწიფოსთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცევა.

# ნატოს საინფორმაციო ცენტრში დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა შედგა



ელენე ხოშტარია

ნატოს საინფორმაციო ცენტრის ოფისში გამართულ შეხვედრაზე, ცენტრის თანამშრომლებმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გასული წლის ანგარიში წარუდგინეს და 2012 წლის სამოქმედო გეგმა გააცნეს. გეგმა ევროპულ და ევროატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარიამ წარადგინა. მისი განცხადებით, ეს ის ღონისძიებებია რომელიც ინტენსიურად იგეგმება და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ნატოსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესების, ასევე ჩიკაგოს სამიტის შესახებ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო აგრეთვე ფინანსური რესურსების საკითხს სამომავლო ღონისძიებების განსახორციელებლად.

ნიუსპრესი

# საქართველოში ჩერქეზული კულტურის ცენტრი გაიხსნება

16 თებერვალს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჩერქეზული კულტურის ცენტრი დაფუძნდება. ცენტრს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე გახსნიან. ჩერქეზული კულტურის ცენტრის გახსნის ცერემონიას დაესწრებიან ცნობილი მეცნიერ-კავკასიოლოგები, ასევე სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მოწვეული სტუმრები როგორც კავკასიიდან, ისე საზღვარგარეთ არსებული სხვადასხვა ჩერქეზული დიასპორებიდან. ასევე კულტურის მოღვაწეები თურქეთიდან, იორდანიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ცენტრის უმთავრესი მოვალეობა იქნება ჩერქეზების და სხვა კავკასიელ ხალხთა ისტორიისა და კულტურის კვლევა-ძიება და პოპულარიზაცია. ასევე ადგილობრივ ხალხთა და თვითმყოფად კულტურათა შორის დიალოგის დაწყება.

ნიუსპრესი

# რუსუდან ბოლქვაძემ რეჟისორობა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა რუსუდან ბოლქვაძემ რეჟისორობა დაიწყო და 17 თებერვალს თეატრში მისულ მაყურებელს პრემიერას შესთავაზებს. ახალბედა რეჟისორის დებიუტი შედგება თუნჯერ ჯუჯენოღლუს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „ზვავი“, რომელშიც დებიუტანტმა რეჟისორმა თეატრის ყველა თაობის მსახიობი დააკავა.

თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესა ვარლამ ნიკოლაძემ თარგმნა, რეჟისურა – რუსუდან ბოლქვაძეს ეკუთვნის, მხატვრობა – ნინო ჩიტაიშვილს, მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძეს, სასცენო მოძრაობა – ზურაბ ბეგლარიშვილს, ხოლო ტექნიკური რეჟისორი ხათუნა ჯამათაშვილია.

სპექტაკლში მონაწილეობენ კინომსახიობთა თეატრის მსახიობები – 2011 წლის თეატრალური პრემია „დურუჯის“ მფლობელი ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცი, კინომსახიობთა თეატრის უხუცესი წევრი რევაზ თავართქილაძე, ლია კაპანაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი, ნიკა წერედიანი, ვანიკო თარხნიშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, გვანცა გურგენიშვილი, რუსუდან ბოლქვაძე და გუგა კახიანი.

თანამედროვე თურქი დრამატურგის თუნჯერ ჯუჯენოღლუს შემოქმედება მსოფლიო თეატრალური საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. თუნჯერ ჯუჯენოღლუ თურქეთის სახელმწიფო თეატრის სარეპერტუარო კომიტეტის გამგეობის წევრი და მუჟდათ გეზენის სახელობის ხელოვნების ცენტრთან არსებული კონსერვატორიის დრამატურგიის კათედრის პროფესორია, მიღებული აქვს 15 ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურული პრემია. მისი პიესები თარგმნილია მსოფლიო სხვადასხვა ენებზე და წარმატებით იდგმებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ავსტრალიაში, მაკედონიაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, თურქეთში. ავტორის ნაწარმოებების დადგმა დღესაც ხორციელდება და შეუფერხებლად აგრძელებს სცენურ ცხოვრებას.



– სიუჟეტით განსაზღვრული მოქმედება საყოველთაოა და არ გააჩნია ეროვნება და ქრონოლოგიური პერიოდი. მოქმედება შეიძლება მიმდინარეობდეს ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და სათქმელი მარადიული და საყოველთაოა. ზვავსაშიშ ზონაში მცხოვრებმა მოსახლეობამ ათწლეულების მანძილზე შიშქვეშ ცხოვრების წესები და ჩვევები გამოიმუშავა. აკრძალულია ყოველგვარი ხმაური, რამაც შეიძლება ზვავი გამოიწვიოს – სიცილი, სიმღერა, ხმამაღალი ლაპარაკი, დახველებაც კი. რამდენადაც დიდია შიში, იმდენად მკაცრი და აბსურდულია წესები. ქორწინების ვადებიც კი მკაცრადაა განსაზღვრული იმის შიშით, ქალებს სახიფათო პერიოდში არ მოუხდეთ მშობიარობა და ბავშვისა და დედის ყვირილმა ზვავი არ გამოიწვიოს და სოფელი არ დაღუპოს. წესების დაცვას საბჭო აკონტროლებს. ზვავსაშიში პერიოდი დასრულებულად ითვლება ადრე გაზაფხულზე, როცა თოვლი დნობას იწყებს და წყალი ღელეში გარკვეულ ნიშნულს მიაღწევს. მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდება სოფელი ნორმალურ ცხოვრებას შემდეგ ზამთრამდე, ან სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილამდე და სიცოცხლის გამარჯვებამდე, – აცხადებენ კინომსახიობთა თეატრში.

როგორც დებიუტანტმა რეჟისორმა რუსუდან ბოლქვაძემ განაცხადა, იგი ბოლო პერიოდში დაკავებული არ იყო სპექტაკლებში. ვინაიდან მას სპექტაკლების და თეატრის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ამიტომ გადაწყვიტა თუნჯერ ჯუჯენოღლუს ეს პიესა დაედგა. როგორც რეჟისორის კოლეგა მსახიობი გია აბესალაშვილი აღნიშნავს, რუსუდან ბოლქვაძეს დიდი ხანია ეს პიესა აწვალებს.

– მას ყოველთვის უნდოდა ვინმეს ეს პიესა დაედგა და მასში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ რადგან პიესით არც ერთი რეჟისორი არ დაინტერესდა, რუსუდანმა გადაწყვიტა, თავისი საყვარელი პიესა თვითონვე დაედგა და ჩვენც ყველანი მაქსიმალურად მხარში ამოვუდექით, – განაცხადა მსახიობმა გია აბესალაშვილმა.

რუსუდან ბოლქვაძის სადებიუტო სპექტაკლი ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. პიესის თარგმანი დებიუტანტ რეჟისორს კი მიხეილ თუმანიშვილის ფონდმა მიაწოდა.

საჯარო პრემიერამდე შემოქმედებითმა ჯგუფმა სპექტაკლი თეატრის წევრებისთვის გაითამაშა, სადაც წარმოდგენის განხილვა შედგა. რუსუდან ბოლქვაძეს კოლეგებმა თავისი მოსაზრებები გაუზიარეს და დებიუტანტ რეჟისორს მეგობრული რჩევებიც მისცეს.

შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა პრესისა და ტელევიზიების ჟურნალისტებისთვის პრესტური 16 თებერვალს მოაწყოს, პრემიერა კი 17, 18 და 19 თებერვალს გაითამაშოს.

# მერაბ სეფაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

ქართული ესტრადის გამორჩეულ წარმომადგენელს მერაბ სეფაშვილს 19 მაისს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. მომღერალი ამ დღისთვის უკვე აქტიურად ემზადება და ვარსკვლავის გახსნის დღეს შეკრებილი მსმენელისთვის გალაკონცერტის ჩატარებას აპირებს.



ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მერაბ სეფაშვილი კვლავ დადგება დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე და თავის საყვარელ მსმენელს უმღერებს. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გრანდიოზულ გალაკონცერტზე მერაბ სეფაშვილი ძველ ჰიტებთან ერთად, ახალ სიმღერებსაც შეასრულებს. ჯერ კიდევ გასულ წელს გახდა ცნობილი, რომ მერაბ სეფაშვილს სოლოკონცერტის ჩატარება სურდა, იგი 2011 წლის ბოლომდე აპირებდა თავისი ერთგული მსმენელი დიდ საკონცერტო დარბაზში შეეკრიბა, თუმცა ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ, კონცერტის გაზაფხულზე გადატანა გადააწყვეტინა.

– კონცერტისთვის აქტიური მზადება უკვე დავიწყე. ჩემს მეგობრებთან ერთად ვაპირებ წარვდგე მსმენელის წინაშე და მონატრებულ ჰიტებთან ერთად, ახალი სიმღერებიც შევასრულო. რეპეტიციები რუსთაველის თეატრში გვაქვს. მაქსიმალურად ვეცდები, კონცერტი საინტერესო და მრავალფეროვანი გამოვიდეს, რადგან შესრულდება როგორც ძველი, ისე ახალი ჰიტები. ორსაათიან კონცერტში ჩემი მეგობრები – ქართული ესტრადის მომღერლები და ანსამბლები მიიღებენ, – ამბობს მერაბ სეფაშვილი.

მომღერალი უკვე 35 წელია ქართულ ესტრადაზე მოღვაწეობს და მის მიერ შესრულებული ჰიტები მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც მომღერალი ამბობს, სოლოკონცერტის პარალელურად, ის მუშაობს დისკის გამოშვებაზე, რომელშიც 12-13 სიმღერა შევა. თუმცა მომღერლის ახალ ალბომს მერაბ სეფაშვილის ერთგული მსმენელი ოდნავ მოგვიანებით მოისმენს, რადგან ახლა მომღერალი მთლიანად გაზაფხულზე დაგეგმილი კონცერტის სამზადისშია.

# ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედებას გამოფენა მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

თანამედროვე ხელოვნების ცენტრის საგამოფენო სივრცეში ქართველი კინორეჟისორის ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა „საფეხური“ გაიხსნა. გამოფენა ექსპერიმენტალური სახისაა, რაც დამთვალიერებელს ავტორის შემოქმედების ალტერნატიულ სივრცეში, მთლიანობაში აღქმის საშუალებას აძლევს.

გამოფენა ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება.

როგორც პროექტის კურატორი ვატო წერეთელი აღნიშნავს, ალექსანდრე რეხვიაშვილი გამორჩეული მოვლენაა ქართულ კინოში, როგორც რეჟისორის ეთიკით, ისე პოეტიკით. მას არასოდეს უღალატია საკუთარი თავისა და შემოქმედებითი მრწამსისთვის ამწუთიერის სასარგებლოდ, არც ერთი ფილმით არ უცდია მაყურებელთან ლაციცი ან ხელისუფალთა გულის მოგება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 592-49-85-55

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 30.000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

### უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში“. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტო-პანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ვკერავთ თეთრეულს, ფარდებს, გადასაფარებლებს, ავტომანქანის შალითებს, ყველაფერს ოჯახისა და ოფისებისათვის. ტელ: 258-93-94; 595-96-64-63.

# ფაჩულიამ ლეიკერსთან დაცვაში იმუშავა



ლოს ანჯელესში, „ლეიკერსთან“ მატჩში, ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა. ქართველმა ცენტრმა ლოსანჯელესელებს ბურთი 4-ჯერ ჩაუჭრა და ეს მატჩის საუკეთესო შედეგი გახლდათ. ფაჩულიას აქამდელი საუკეთესო შედეგი 3 ჩაჭრა იყო, რომელიც მან 6 თებერვალს, „ფინიქსთან“ მატჩში მოაგროვა.

რაც შეეხება მატჩს, ფაჩულიას გუნდმა წააგო – „ატლანტა ჰოუქსი“ პირველ ტაიმში ტოლსწორად ებრძოლა მასპინძლებს, თუმცა მესამე მეოთხედი ჩააგდო და დარჩენილ დროში ვითარება ველარ გამოასწორა. „ლეიკერსმა“ საბოლოოდ 6 ქულის სხვაობით – 86:78 გაიმარჯვა.

ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 27 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა მხოლოდ ერთი ქულა ჩააგდო, სამაგიეროდ, კარგად იმუშავა ფარქვეშ და 9 ბურთი მოხსნა. ამის გარდა ფაჩულიას თითო პასი და დაფარება ჰქონდა

„ატლანტას“ სადღეისო მონაგარი 18 მოგება და 11 მარცხია. ანალოგიური შედეგი აქვს „ორლანდოსაც“ და ეს გუნდები აღმოსავლეთ კონფერენციაში 4-5 ადგილებს იყოფენ. მომდევნო მატჩს ატლანტელები ფინიქსში დღეს, გამთენიისას გამართავდნენ.

# საქართველო-ალბანეთი უფასოა, ბელარუსიამ ბრაზილიელი დაიმატა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი მიმდინარე წელს პირველ მატჩს 29 თებერვალს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ალბანეთის ნაკრებთან გამართავს. ბალკანელებთან დაპირისპირება 18 საათზე დაიწყება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მომავალ თამაშზე დასწრების მსურველი გულშემატკივრები სტადიონზე შესვლას უფასოდ შეძლებენ.

რაც შეეხებათ მსაჯებ – მატჩს მოლდოველი არბიტრები განსჯიან.

ჩვენი ნაკრების მეტოქე, მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევ ეტაპზე ბელარუსის ეროვნული გუნდი კი, ამავე დღეს თურქეთში ამხანაგურ მატჩს მოლდოველებთან გამართავს. ბელარუსთა მთავარმა მწვრთნელმა გეორგი კონდრატიევმა ამხანაგურ მატჩამდე შეკრებაზე გამოძახებულ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ ბელარუსთა შემადგენლობაში ითამაშებს ნატურალიზირებული ბრაზილიელი ფეხბურთელი რენან ბრესანი. 23 წლის ბრაზილიელი უკვე ხუთი წელია, რაც ბელარუსის ჩემპიონატში გამოდის. რენანი 2007 წელს ბრაზილიის „ატლეტიკო ტურაბაოდან“ აიყვანა „გომელმა“, ხოლო ბოლო ორი წელია, ფეხბურთელი ბატე-ს ღირსებას იცავს და 65 მატჩში 28 გოლიც გაიტანა.

**მეკარეები:** იური ჟევნოვი (ზენიტი, რუსეთი), სერგეი ვერემკო (კრილია სოვეტოვი, რუსეთი);

**მცველები:** იგორ შიტოვი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), ალექსნადრ მარტინოვიჩი (კრასნოდარი, რუსეთი), პაველ პლასკონი (დინამო, მინსკი), იგორ ფილიპენკო (სპარტაკი, რუსეთი), დმიტრი ვერხოვცოვი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), მაქსიმ ბორდაჩევი (ბატე);

**ნახევარმცველები:** ვიტალი ტრუბილო (სლავია, ჩეხეთი), იან ტიგორევი (ლოკომოტივი, რუსეთი), ვლადიმირ კორიტკო (დინამო, ბრიანსკი, რუსეთი), ალექსანდრ კულჩი (კრასნოდარი, რუსეთი), სერგეი კისლიაკი (რუბინი, რუსეთი), იგორ სტასევიჩი (დინამო, მინსკი), სერგეი კრავეცი (ლეხი, პოლონეთი), ანტონ პუტილო (ფრაიბურგი, გერმანია), პაველ სიტკო (შახტიორი, სოლიგორსკი), პაველ ნეხაიჩიკი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), მაქსიმ ჟავნერჩიკი (ყუბანი, რუსეთი), რენან ბრესანი (ბატე);

**თავდამსხმელები:** ვიტალი როდიონოვი (ბატე), სერგეი კორნილენკო (კრილია სოვეტოვი, რუსეთი).

# მადრიდში ფინალი არ სურთ

მადრიდში კარგად ახსოვთ, 2009 წლის სამეფო თასის ფინალი, სადაც ერთმანეთს „ბარსელონა“ და „ბილბაო“ დაუპირისპირდა. მაშინ კატალონიელმა და ბასკმა გულშემატკივრებმა ესპანეთის სახელმწიფო ჰიმნს უსტვინეს.

წლევანდელი თასის ფინალში ეს გუნდები გავიდნენ, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ასეთი რამის დაშვება კიდევ ერთხელ მათ აღარ სურთ, ამიტომ ფინალის ჩატარებაზე უარს აცხადებენ.

არადა, ორივე ფინალისტი დაჟინებით ითხოვს მატჩი მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართოს. ლოგიკურად ასეც უნდა იყოს – სტადიონი ყველაზე დიდია ნეიტრალურთაგან, არც მანძილშია უზარმაზარი სხვაობა. არც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაა წინააღმდეგი, მაგრამ ის ვერ ავალდებულებს „რეალს“ უმასპინძლოს თასის ფინალს, რადგან სტადიონი კლუბის საკუთრებაშია.

ასეა, თუ ისე, შეთანხმება ვერ შედგა. ამიტომ, სათადარიგო ვარიანტად ვალენსიური „მესტალია“ რჩება და დიდი შანსია, ფინალიც იქ გაიმართოს. ფინალისტებმა 10 დღის ვადა მისცეს ფედერაციას სიტუაციის დასარეგულირებლად.

# სფფ-მ ფუტსალი შეიკედლა

სფფ-ის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი რევაზ შენგელია მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში ფუტსალის კლუბების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა სამუშაო ხასიათის იყო და მას 6 თბილისური კლუბის გარდა, ქუთაისისა და თელავის კლუბების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის დებულების ახალი ვერსია მოამზადა, რომელიც კლუბების წარმომადგენლებს დაურიგდათ და პარასკევამდე მიეცათ ვადა, რათა ახალ დოკუმენტს საფუძვლიანად გაეცნონ და თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარმოადგინონ.

სფფ-ის პრეზიდენტმა კლუბებს ყველანაირი დახმარება აღუთქვა და შეხვედრაზევე განაცხადა, რომ ისინი გადასახადისგან გათავისუფლდებიან და ტრანსპორტირების საკითხებსაც სფფ მოაგვარებს.

**ზვიად სიჭინავა:**

– საბოლოო შეხვედრა 17 თებერვალს გვექნება, სადაც კლუბების წარმომადგენლები ოფიციალურ თანხმობას განაცხადებენ ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ახალ დებულებაზე აზრს და შენიშვნებს გამოთქვამენ. სწორედ ამის შემდეგ გადავწყვეტთ ჩემპიონატის ჩატარების ზუსტ თარიღს, ჩავატარებთ კენჭისყრას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდეს და საინტერესო იყოს. დღევანდელი მონაცემებით, ვიცით, რომ 8 გუნდს აქვს ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი. მაგრამ ჩვენ გვაქვს მოთხოვნები, რომლებსაც, ამ ეტაპზე, მხოლოდ 4 გუნდი აკმაყოფილებს. თუმცა, ფეხბურთის ფედერაცია მზადაა, ყველანაირად დაეხმაროს იმ გუნდებს, რომელთაც გარკვეული პრობლემები აქვთ; გარკვეულ ხარჯებს ჩვენს თავზე ავიღებთ და იმედია, დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატის მომსწრენი გავხდებით.

თავად ჩემპიონატი კი, სავარაუდოდ, ორ წრედ ჩატარდება და თამაშები, ძირითადად, თბილისსა და ქუთაისში გაიმართება.

# თორნიკე შენგელია: დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარი დამიჭირა“

ფიბა-ევროპის ვებ-გვერდზე დასრულებულ გამოკითხვაში. თორნიკე შენგელიამ გულშემატკივრებისგან ყველაზე მეტი ხმა მიიღო, თუმცა გასული წლის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად ლიტველი იონას ვალანჩუნასი დაასახელეს. ეს ექსპერტთა ხმებმა გადაწყვიტეს, რომლებმაც ქართველ ფორვარდზე წინ სხვა ახალგაზრდები დააყენეს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური აღიარება არ ჰპოვა, შენგელია მილოცვებს მაინც იღებდა. ხუმრობა ხომ არაა, მან ლამის 27.000 ხმა მიიღო და მთელი 12.831-ით აჯობა ლიტველ ვალანჩუნასს.



თორნიკესთან ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გილოცავთ გამოკითხვაში გამარჯვებას. ბევრმა მოგილოცათ?***

– კი, ძირითადად საქართველოდან მიკავშირდებოდნენ. ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, პრესის წარმომადგენლები. აქ რამდენიმე თანაგუნდელმა მომილოცა, გამოკითხვის შედეგები ინტერნეტით გაიგეს და პირველზე რომ გავედი, გაეხარდათ.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ დაიმსახურეთ ამდენი ხმა?***

– ჩემი მეგობრები და ახლობლები ინტერნეტით ყოველდღიურად მიჭერდნენ მხარს. ვებ-გვერდის ბმული, სადაც გამოკითხვა მიმდინარეობდა, ჩემი ფეისბუქის გვერდზე იდო, ასევე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე და სხვადასხვა სოციალურ ქსელში. იგივე ალბათობით შეიძლებოდა სხვა კანდიდატებსაც ჰქონოდათ ბმულები გავრცელებული, თუმცა, საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ყველაზე მეტი ხმა მივიღე, რაც ძალიან მესიამოვნა.

***– როგორ ფიქრობთ, ხმების უმეტესობა რომელი ქვეყნიდან იყო?***

– რა თქმა უნდა, საქართველოდან. ასევე ბელგიიდანაც იქნებოდნენ, რადგან ფეისბუქში არაერთი გულშემატკივარი მყავს და ისინიც აქტიურობდნენ. მინდა ყველა იმ ადამიანს დიდი მადლობა ვუთხრა, რომელმაც მხარი თუნდაც ერთხელ დამიჭირა. მოგეხსენებათ, ხმის მიცემა დღეში ერთხელ იყო ნებადართული.

***– მიუხედავად იმისა, რომ დიდი უპირატესობით მოიგეთ ინტერნეტ-გამოკითხვა, საუკეთესოდ მაინც იონას ვალანჩუნასი დაასახელეს.***

– როგორც მითხრეს, გულშემატკივრებს მხოლოდ 30 პროცენტის გადაწყვეტა შეეძლოთ. ანუ მთავარი ფიბა-ევროპის ექსპერტების შეფასებები იყო. გულშემატკივრების დახმარებით კი მოვიპოვე უპირატესობა, მაგრამ საბოლოო სიტყვა სპეციალისტებმა თქვეს, რომლებმაც ვალანჩუნასი გამოარჩიეს.

***– დამსახურებულად მიიღო ვალანჩუნასმა ეს ჯილდო?***

– არ იმსახურებდაო, ვერავინ იტყვის. იონასმა ძალიან მძლავრად ჩაატარა გასული წელი. ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა, მსოფლიოს პირველობაზეც გამოირჩეოდა, დრაფტზე საკმაოდ მაღალ ნომრად აირჩიეს და ახლა „ლიეტუვოს რიტასში“ საკმაოდ კარგად თამაშობს. ღირსეული კანდიდატები იყვნენ ნიკოლა მიროტიჩი და ენეს კანტერიც.

***– თქვენი საქმეები როგორ მიდის? ტრავმა ვერ მოიშუშეთ?***

– ჯერ ისევ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ვცდილობ, ფიზიკური ფორმა შევინარჩუნო. 20 თებერვალს რენტგენი უნდა გადამიღონ და სავარაუდოდ ამის შემდეგ ექიმები გუნდთან ერთად ვარჯიშის ნებას დამრთავენ. ამჟამად ტრენაჟორებზე და აუზში ვვარჯიშობ.

***– თქვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილმა კალათბურთელებმა წლეულს დრაფტი საკმაოდ წარმატებით მოილიეს. თორნიკე შენგელიას ჯერი როდის დადგება?***

– ძნელი სათქმელია. ისე კი სურვილი მაქვს, რომ კარიერა ნბა-ში გავაგრძელო. ეს და კიდევ მომავალი წელიც მაქვს. ამ ორიდან რომელიმე წელს დრაფტზე უნდა დავდგე. ვნახოთ, რა იქნება. ტრავმის გამო კარგა ხანი გამიცდა და სეზონის დარჩენილ დროში დიდი ძალისხმევა მმართებს, რომ ნბა-ს დრაფტზე დადგომა გადავწყვიტო.

# ბარსელონა ცალი ფეხით მეოთხედფინალშია

### ლევერკუზენი-ბარსელონა 1:3

***0:1 სანჩესი (41), 1:1 კადლეცი (52), 1:2 სანჩესი (55), 1:3 მესი (88)***

**ლევერკუზენი:** ლენო, ჩორლუკა (და კოშტა 90), შვააბი, ფრიდრიხი, კადლეცი, რაინარტცი, როლფესი (კისლინგი 77), ბენდერი, კასტრო, შიურლე (ბელარაბი 90), აუგუსტო

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი, ალვესი, მასკერანო, პუიოლი, აბიდალი, ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ინიესტა (ტიაგო 60), სანჩესი (კუენკა 85), მესი, ადრიანო (პედრო 69)

პირველივე მატჩის შემდეგ თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ კატალონიური „ბარსელონა“ მეოთხედფინალში ითამაშებს.

„ლევერკუზეთან“ ორრაუნდიან დაპირისპირებაში კატალონიელები ისედაც გამოკვეთილ ფავორიტად მიიჩნეოდნენ, მაგრამ პირველი მატჩის შემდეგ, კიდევ უფრო გაიმყარეს სტატუსი. მართალია, ფეხბურთი არაპროგნოზირებადი სპორტის სახეობაა და ბურთი ვის კარში როდის შეგორდება, არავინ იცის, თუმცა ეს ბოლო დროინდელ „ბარსელონას“ არ ეხება – კატალონიელები ასეთ უპირატესობას ხელიდან არ უშვებენ.

მატჩის პირველი ტაიმი ძალიან უინტერესო გამოდგა. ბურთს, როგორც ჩვევია, „ბარსელონა“ აკონტროლებდა. ამასთან, მეტოქეს მკაცრ პრესინგს ეთამაშებოდა და „ლევერკუზენსაც“ 3 გადაბმული პასის გაკეთება უჭირდა. თავის მხრივ გერმანელებს საჯარიმოს მისადგომები გამაგრებული ჰქონდა და მეკარეები თითქმის უსაქმოდ იყვნენ მოედანზე. 45 წუთში სულ ერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ისიც გოლის გატანით დასრულდა.

ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა გარისკეს, შეტევაში დიდი ძალებით წასვლა გადაწყვიტეს და ისინი ამისთვის დაისაჯნენ – მოედნის ცენტრიდან მესიმ იდეალური პასი გაუკეთა ალექსის სანჩისს და მეკარეს პირისპირ შეჰყარა. ჩილელმა ფეხბურთელმაც ამით ისარგებლა და ჩემპიონთა ლიგაზე თავისი პირველი გოლი გაიტანა.

მე-2 ტაიმი „ლევერკუზენმა“ აქტიურად დაიწყო და ანგარიშის გათანაბრება მალევე მოახერხეს – მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა ჩორლუკამ და ბურთი სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც კადლეცმა ალვეშსა და სანჩისს საჰაერო ბრძოლა მოუგო და თავით ბურთი ვალდესის კარში გადააგზავნა.

თითქოს მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, თუმცა მასპინძელთა სიხარულმა მცირე ხანს გასტანა. 55-ე წუთზე, სანჩესი მეკარესთან პირისპირ უკვე ფაბრეგასის კარგი პასის შემდეგ გავიდა, რის შემდეგაც, ჩილელმა ლენო მოატყუა და დუბლი გაიფორმა.

შეხვედრას კი წერტილი 88-ე წუთზე დაესვა – ლენოსთან მარტოდმარტო ამჯერად ალვეში დარჩა, მაგრამ ბრაზილიელმა დარტყმას უკეთეს მდგომარეობაში მყოფი მესისთვის გადაცემის გაკეთება ამჯობინა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა მიმდინარე გათამაშებაში თავისი მე-7 გოლი გაიტანა.

### ლიონი-აპოელი 1:0

***1:0 ლაკასეტე (58)***

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, კონე, კრისი, სისოკო, გონალონსი, კელსტრომი, ლაკასეტე (ბრიანი 58), ედერსონი (გურკუფი 71), ბასტოსი, ლოპესი

**აპოელი:** შიოტისი, პურსაიტიდისი, კაკა, პაულუ ჟორჟე, ბოავენტურა, მორაიში, პინტო, ხარალამბიდისი (მანდუკა 81), სოუზა (მარსინიო 72), ტრიკოვსკი, ალმეიდა (სოლარი 67)

ისევ განაგრძობს საოცრებებს კვიპროსის „აპოელი“. კუნძულელები თითქმის საათი უძალიანდებოდნენ მეტოქეს, თუმცა შემდეგ მაინც გაუშვეს. 58-ე წუთზე ლაკასეტე მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა და ბურთი მეკარისგან შორეულ ზედა კუთხეში გაგზავნა.

„ლიონი“ დიდ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ მხოლოდ ერთ გოლში გარდასახა და ახლა ამ წყვილის ბედი ლიმასოლში გადაწყდება.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ევროპის ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-ბარსელონა | 1:3 |
| ლიონი-აპოელი | 1:0 |

### ევროპის ლიგა

| | |
|---|---|
| რუბინი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| ბრაგა-ბეშიქთაში | 0:2 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| ბარნლი-ბარნსლი | 2:0 |
| ბირმინგემი-ჰალი | 0:0 |
| ბრაიტონი-მილუოლი | 2:2 |
| ბრისტოლი-კრ.პალასი | 2:2 |
| ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| დერბი-რედინგი | 0:1 |
| დონკასტერი-ბლექპული | 1:3 |
| კარდიფი-პიტერბრო | 3:1 |
| ქოვენთრი-ლიდსი | 2:1 |
| მიდლსბრო-ნოტინგემი | 2:1 |
| პორთსმუთი-იფსვიჩი | 0:1 |
| უოტფორდი-ლესტერი | 3:2 |

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

| | |
|---|---|
| ინდიანა-მაიამი | 90:105 |
| ტორონტო-ნიუ იორკი | 87:90 |
| დეტროიტი-სან ანტონიო | 95:99 |
| მემფისი-ჰიუსტონი | 93:83 |
| ოკლაჰომა-იუტა | 111:85 |
| ჩიკაგო-საკრამენტო | 121:115 |
| დენვერი-ფინიქსი | 109:92 |
| პორტლენდი-ვაშინგტონი | 109:124 |
| ლეიკერსი-ატლანტა | 86:78 |

***ზაზა ფაჩულია: 1 ქულა, 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა***

## წყალბურთი

### მსოფლიო ლიგა

| | |
|---|---|
| გერმანია-ხორვატია | 6:11 |

## ჩოგბურთი

### ატპ. როტერდამი. ჰალე

| | |
|---|---|
| ტროიცკი-დე ბაკერი | 7:6;6:0 |
| ჰაასე-დავიდენკო | 5:7;2:6 |
| იუჟნი-კუნიცინი | 6:0;6:7;6:0 |

### ვტა. დოჰა. ჰალე

| | |
|---|---|
| ზაკოპალოვა-მედინა გარიგესი | 4:6;1:6 |
| კირსტეა-გაიდიშოვა | 6:4;6:1 |
| ლისიცკი-კერბერი | 6:4;4:6;1:6 |
| ცეტკოვსკა-მარტიჩი | 7:6;7:5 |
| შაფარჟოვა-რადვანსკა უ. | 6:3;6:4 |
| გერგესი-იაკიმოვა | 6:2;6:2 |
| ჩჟენი-კირილენკო | 3:6;6:3;3:6 |
| ვიკმაიერი-მორიტა | 6:2;6:1 |
| ჰანტუჩოვა-ჰალეპი | 6:3;2:6;6:7 |
| პენეტა-ციბულკოვა | 6:3;2:6;7:6 |
| რაზანო-ჟაბერი | 6:3;2:6;6:3 |

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

| | |
|---|---|
| ბუფალო-ნიუ ჯერსი | 1:4 |
| ბოსტონი-რეინჯერსი | 0:3 |
| კოლამბუსი-სენტ ლუისი | 2:1 |
| ტამპა ბეი-ოტავა | 0:4 |
| დატროიტი-დალასი | 3:1 |
| მინესოტა-ანაჰაიმი | 1:2 |
| ნეშვილი-ჩიკაგო | 3:2 |
| ვინიპეგი-აილენდერსი | 1:3 |
| კალგარი-ტორონტო | 5:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედებას გამოფენა მიეძღვნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– ორი მოკლე („ნუცა“, „მწვანე მდელო“), ოთხი სრულმეტრაჟიანი („XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, „გზა შინისაკენ“, „საფეხური“, „მიახლოება“) მხატვრული ფილმი და ხუთი დოკუმენტური სურათი (და კიდევ, უზადო გემოვნებით, ორიგინალური ხელწერითა და მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი საოპერატორო ნამუშევრები „ალავერდობა“, „მიქელა“, „ძაღლი“) განსაკუთრებული ელვარების კულტურული ათინათებით ამდიდრებენ ქართულ კინოს, წარმოაჩენენ უაღრესად მადლიერი კულტურული მეხსიერებით დაჯილდოებულ მხატვარს, რომელმაც თავისი შემოქმედება ევროპული კულტურის უმდიდრეს შრეებში გამოატარა, მაგრამ კავშირი ქართულ ფესვებთან არ დაუკარგავს და თავისი ცხოვრე-



ალექსანდრე რეხვიაშვილი

ბის წესითა და შემოქმედებით, ფაქიზად იცავდა საუკუნეებით გამომუშავებულ საუკეთესო ტრადიციებს, – ამბობს ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედების მკვლევარი მარინა კერესელიძე.

ალექსანდრე რეხვიაშვილმა შექმნა გრძნობით აღქმული და შემდეგ გონებით მკაცრად ჩამოყალიბებული, უაღესად პიროვნული სამყარო, ჩამოაყალიბა პოეტურ-მეტაფორული კინოს კანონებზე აგებული საკუთარი მხატვრული სისტემა, რომლის საყრდენი მკაცრი სტილი და მკვეთრად გამოხატული ინტელექტუალური საწყისია. მარტივ ფაბულაზე იგავური განზოგადების პრინციპით აგებულ მის ფილმებში მთავარი ამბავი კი არა, პოეზიის კანონებით ამ ამბის თხრობაა – სწრაფვა ხელოვანისა კინემატოგრაფიული მხატვრული სახეების მეშვეობით ხილული გახადოს ის, რასაც მის გარეშე ვერასოდეს დავინახავდით.

– ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმებში არ არის კონკრეტული დრო და ადგილი, ყოფითი დეტალებისაგან განტვირთულ, „გაუცხოებულ“ სამყაროში ყოველი ნივთი, პერსონაჟი და თვით გარემო ფილმის იდეის გამოხატვას ემსახურება. შეუთავსებელ ნივთთა ერთობით ახალი რეალობის შექმნა და მოვლენათა ფარული არსის წარმოჩენა, თხრობის ასკეტური მანერა, ძუნწი დიალოგები, შენელებული, თითქოს შეუმჩნევლად მფეთქავი შინაგანი რიტმი, გამოსახულების ფოტოგრაფიულობა ქმნის რეხვიაშვილის სტილის თავისებურებას, რომლის სრულყოფა რეჟისორმა თავისი შემოქმედების ესთეტიკურ პრინციპად აქცია, – ამბობს ვატო წერეთელი.

ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმები ირონიული დრამებია აბსურდის ელემენტებით, რომლებიც სულ სხვაგვარად წარმოაჩენენ ქართულ სინამდვილეს და ეროვნულ ხასიათს. ამ ფილმების ძირითადი თემა ძალადობაა და ადამიანის რეაქცია ძალადობაზე, განსაკუთრებით – სულიერ ძალადობაზე, რომელიც ყოველ ფილმში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ხელოვანს სწორედ ძალადობასთან დაპირისპირებული ადამიანი აინტერესებს, უფრო ზუსტად, სულიერი გზა, რომელსაც ის ამ წინააღმდეგობის პროცესში გაივლის. ეს არის გზა საკუთარი თავისაკენ, რომელიც რეჟისორს ადამიანის ერთადერთ და ჭეშმარიტ გზად მიაჩნია.

– მისი პროტაგონისტი-გმირები ნუცა („ნუცა“), ნიკო („XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“), ანთიმოზი („გზა შინისაკენ“), ალექსი („საფეხური“) – სხვა ადამიანთა ერთობასთან და ცხოვრებისეულ გარემოებებთან დაპირისპირებული, არჩევანის წინაშე მდგომი, თავისუფლებისა და საკუთარი თავის მაძიებელი პიროვნებები არიან. მათი პროტესტი უსამართლობის, ძალადობისა და უიდეალო ყოფის წინააღმდეგ რეხვიაშვილის ფილმების უნივერსალობას განაპირობებს, – აღნიშნავს მარინა კერესელიძე.

რეჟისორის ყოველი ფილმი დიდი მოვლენა იყო ქართული კინოკრიტიკოსებისათვის. მათ ნაშრომებს იცნობს ამ ხელოვანით დაინტერესებული მაყურებელი. თანამედროვე ხელოვნების ცენტრის საგამოფენო სივრცეში ქართველი კინორეჟისორის ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა „საფეხური“ საინტერესო ხედვას გვთავაზობს ალექსანდრე რეხვიაშვილის კინემატოგრაფის თავისებურებათა გაგებისათვის.



# ბაშარ ასადი გადადგომას არ აპირებს

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი არ გადადგება. ეს განცხადება რუსეთში სირიის ელჩმა რიად ხადდადმა გააკეთა.

– ამ ვარიანტს გამოვრიცხავ, – განაცხადა მან მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა: „ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ლეგიტიმურად არჩეულია და მას ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ მისცა ხმა“.

ელჩი ასევე აცხადებს, რომ სირიის საზოგადოების ყველა ფენაში ასადს მხარს უჭერენ.

– უკმაყოფილოთა რაოდენობა რომელიც ასადის გადადგომას მოითხოვს ძალიან მცირეა, ვთქვათ – 100 ათასი და ეს 23 მილიონიდან. ასე რომ როგორც იტყვიან კომენტარების გარეშე, – აცხადებს ელჩი.

შეგახსენებთ, რომ სირიაში ხელისუფლებისა და ოპოზიციას შორის მიმდინარე დაპირისპირებაში, რომელიც უკვე 11 თვეა მიმდინარეობს გაეროს მონაცემებით უკვე გარდაცვლილია 5 ათას ადამიანზე მეტი.

ამ ფონზე, სირიაში კონსტიტუციის შესახებ რეფერენდუმი პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა 26 თებერვალს დანიშნა.

ინფორმაციას ამის შესახებ სირიის სახელმწიფო ტელევიზია ავრცელებს.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც რუსეთი თავს იკავებს ასადის რეჟიმის საწინააღმდეგო ნაბიჯებისგან, ექსპერტთა აზრით, იარაღით ვაჭრობას უკავშირდება. ასადი ამ მხრივ მოსკოვის ერთგული პარტნიორია და მისთვის შეიარაღების მიწოდება რუსეთს არც არეულობის დაწყების შემდეგ შეუწყვეტია.

გასული წლის ნოემბერში მოსკოვმა სირიასთან ხელი მოაწერა კონტრაქტს 36 საბრძოლო-სასწავლო თვითმფრინავის „იაკ-130“-ს მიწოდების თაობაზე, რომლის ღირებულებამ 550 მილიონი დოლარი შეადგინა. შესაბამისად, თუ მოსკოვი მხარს დუჭერდა სანქციებს სირიის წინააღმდეგ, ამ შემოსავალს დაკარგავდა.

გარდა ამისა, ვრცელდება ცნობები სირიისთვის რუსული შეიარაღების ფარულად მიწოდების შესახებ. 11 იანვარს კვიპროსში სენტ-ვინსენტისა და გრენადინის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავეს, რომელსაც რუსული კომპანია განკარგავდა. მასზე 60 ტონა საბრძოლო მასალები აღმოაჩინეს. დოკუმენტების თანახმად, გემი სირიაში მიდიოდა. თუმცა, ის გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ სირიაში აღარ ჩავიდოდა. მოგვიანებით თურქეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ხომალდი დანიშნულების ადგილზე მაინც მივიდა.

პრესაში გავრცელებული ცნობებით, მხოლოდ 2010 წელს მოსკოვმა დამასკოს 700 მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღება მიაწოდა. „მსოფლიოს იარაღით ვაჭრობის ანალიზის ცენტრის“ შეფასებით, სირიის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შემთხვევაში რუსეთი 5 მილიარდ დოლარს დაკარგავს, მათ შორის 1,5 მილიარდი დოლარის მიმდინარე კონტრაქტებს. იმ დროს, როდესაც რუსეთის იარაღის ექსპორტიორებმა ლიბიასთან გაფორმებულ კონტრაქტებზე უკვე 4.5 მილიარდი იზარალეს, ხოლო ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გამო – 13 მილიარდი.

სერგეი ლავროვმა დაადასტურა, რომ რუსეთი სირიას შეიარაღებას კვლავაც აწვდის, რადგან „არსებობს კონტრაქტები და



ისინი უნდა შესრულდეს“. იგი „დარწმუნებულია“, რომ რუსულ იარაღს რეჟიმი დემონსტრანტთა წინააღმდეგ არ იყენებს.

როგორც გაერო-ში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა აღნიშნა, მოსკოვი დამასკოსთვის იარაღის მიწოდებას არ შეაჩერებს, რადგან ეს შეზღუდვა „მხოლოდ ერთი მხარისთვის – მთავრობისთვის“ იმოქმედებდა.

მოსკოვი სირიის მოქმედი რეჟიმის სამხედრო მხარდაჭერის უფრო მკაფიოდ დაფიქსირებასაც არ ერიდება – 7 იანვარს ერთადერთი რუსული ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“ სირიის ნავსადგურ ტარსუსში შევიდა, სადაც რუსული ფლოტის მცირე დამხმარე ბაზა მდებარეობს. ოფიციალურად ამ აქციის მიზნად ავიამზიდისა და თანხმლები ხომალდების მარაგის შევსება გამოცხადდა.

რა ამოძრავებს კრემლს, რომელიც დამხობის პირას მყოფ ასადის ტოტალიტარულ რეჟიმს „კბილებით“ იცავს და ამისთვის არც დასავლეთთან და არც არაბულ სამყაროსთან დაპირისპირებას ერიდება?

დასავლური მედია აღნიშნავს, რომ სირიასა და რუსეთს ათწლეულების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ. ჯერ კიდევ ბაშარ ასადის მამა ჰაფეზ ასადი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მოკავშირე იყო. სირია დღემდე რუსული იარაღის მსხვილი იმპორტიორია და ამ ქვეყანაში რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზაა განლაგებული.

თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, იარაღის მოწოდებაზე კონტრაქტებისა და ბაზის შენარჩუნება რუსეთს ისედაც შეეძლო – თუ სირიის ოპოზიციას დროულად მოელაპარაკებოდა.

რუსეთის სიჯიუტე დამღუპველია არა მხოლოდ სირიისთვის, არამედ თავად მოსკოვისთვის – აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“. თუ მოსკოვი ასადის მხარდაჭერას გააგრძელებს, ის არამხოლოდ გააფუჭებს ურთიერთობებს არაბული სამყაროს სხვა ქვეყნებთან, არამედ სამომავლოდ სირიაშიც დაკარგავს საკუთარ პოზიციებს.

გამოცემა ობამას ადმინისტრაციას ურჩევს, სირიის საკითხი მოსკოვთან ერთიერთობებში პრიორიტეტული გახადოს.

თავის მხრივ, „ნიუ-იორკ თაიმსი“ აღნიშნავს, რომ რუსეთის პოლიტიკურ მხარდაჭერას ასადის რეჟიმი ქვეყნის შიგნით პროპაგანდისთვის და მოწინააღმდეგეთა დაშინებისთვის იყენებს – სამთავრობო მედიასაშუალებები მუდმივად იმეორებენ რუსეთის ოფიციალურ პირთა განცხადებებს იმის ხაზგასასმელად, რომ რეჟიმს ძლიერი მოკავშირე ჰყავს.

გამოცემის აზრით, რუსეთის პოზიციის მიზეზებს საერთო არაფერი აქვთ სირიის კრიზისის სპეციფიფიკასთან.

„პირველ რიგში ეს იარაღის ექსპორტია, შიდაპოლიტიკური სიტუაცია და წყენა ლიბიის კამპანიის გამო. ლიბიის შესახებ რეზოლუციის მხარდაჭერის შემდეგ მოსკოვი თავს მოტყუებულად მიიჩნევს, რადგან ამ გადაწყვეტილების შემდეგ ნატო-მ კადაფის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რასაც რუსეთი ეწინააღმდეგებოდა. გამოცემა აღნიშნავს, რომ ბოლო დროს პუტინი აშშ-ს ღიად ადანაშაულებს რეჟიმების დამხობის მხარდაჭერაში, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე თავად რუსეთში.

სირიის შემთხვევაში, „რუსეთი დასავლეთის ჯინაზე თვითდამკვიდრებას ცდილობს“, – აღნიშნავს კიდევ ერთ სტატიაში „ვაშინგტონ პოსტი“. ავტორის აზრით, ეს არის „გამოწვევა შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი მოკავშირეებისთვის“.

გაზეთი „ქრიშჩენ საენს მონიტორი“ კი აღნიშნავს, რომ მოსკოვისთვის სირიის რეჟიმის მხარდაჭერის კიდევ ერთი მიზეზი იმის შიშია, რომ „მსგავსი ამობოხებები იფეთქებს დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში“.

დასავლელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მარტის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რუსეთის პოზიციის შერბილება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ანტიდასავლური რიტორიკა პუტინის კამპანიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. რუსული გამოცემა „კომერსანტი“ აღნიშნავს, რომ იგივე აზრისაა რუსი ექსპერტების დიდი ნაწილი.

რუსი ექსპერტი ალექსანდრ გოლცი აცხადებს, რომ „პუტინს მართლაც პარანოიდულად ეშინია „ფერადი რევოლუციების“, მისი მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ „“აღარ მოტყუვდეს“. შესაბამისად, მხარი არ დაუჭიროს არც ერთი რეჟიმის შეცვლას, იმის მიუხედავად, თუ რას ჩაიდენს ეს რეჟიმი.

სირიის კრიზისის გამო ანტიდასავლური განწყობები რუსეთში იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი ექსპერტი დასავლეთის ნებისმიერ ნაბიჯში რუსეთის საწინააღმდეგო ქმედებებს ხედავს. მაგალითად, რუსეთში მოქმედი „მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ალექსეი არბატოვი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა სირიის საკითხზე რუსეთის პოზიციას უკავშირდება: „ობამამ მიანიშნა რუსეთს – თუ ჩვენს მტრებთან მეგობრობთ, მტრები თქვენც საკმარისად გყავთ და ჩვენც შეგვიძლია, სირთულეები შეგიქმნათ“.

– პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა რეფერენდუმის ჩატარების თარიღად მიმდინარე თვის 26 რიცხვი მიუთითა. რეფერენდუმი სირიის არაბული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს ეხება, – იუწყება არაბული ტელევიზია.

# ისრაელი ირანს შურისძიებით ემუქრება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის ვიქტორია ნულანდის განცხადებით, „გახშირებული ტერაქტების გარკვეული ნაწილი აშკარად ირანთან არის კავშირში“.

ამის შესახებ ნულანდმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ვაშინგტონი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აფეთქებების სერიით შეშფოთებულია. ბოლო დროს ძალადობრივი ფაქტები გახშირდა და აფეთქება ბანკოკსა და ნიუდელიში, ასევე ტერაქტის მცდელობა თბილისში ამის ნათელი დასტურია. ამ აფეთქებების ნაწილი კი აშკარად ირანთან არის კავშირში, – განაცხადა ნულანდმა.

შეგახსენებთ, რომ 13 თებერვალს უცნობი ტერორისტები საქართველოსა და ინდოეთში ისრაელის საელჩოების შენობებთან ბომბების აფეთქებას ცდილობდნენ. თბილისში ბომბი გააუვნებელყვეს, დელიში კი აფეთქების შედეგად, ბოლო მონაცემებით, რამდენიმე ადამიანი დაიჭრა.

თავის მხრივ, ისრაელი ირანს შურისძიებით ემუქრება. უცხოური მედიის ინფორმაციით, განცხადება ამის შესახებ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა გააკეთა.

ბარაკმა გუშინ ტაილანდის დედაქალაქში მომხდარი აფეთქებები დაგმო და მომხდარში ირანის ხელისუფლება დაადანაშაულა.

– ჩვენ ზუსტად ვიცით, ვინ მოაწყო ტერაქტი ბანგკოკში და ვინ გაგზავნა იქ ტერორისტები. ჩვენ შურს ვიძიებთ ამაზე, – განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## h3xცდx3ლb ,

**შვეულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 2. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 3. უძველესი საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 4. ისტორიული ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 5. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 7. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთით შეზავებული სახატავი საღებავი; 11. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 12. დედამიწის არქტიკული ზონის მარად ყინულოვანი, უტყეო სივრცე; 13. საპირისპირო შეხედულებათა, ინტერესთა კონფლიქტი; 14. არგენტინელი მწერალი; 15. ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 17. კოლონიებში გამდიდრებულ ადამიანთა სახელწოდება ბრიტანეთში; 19. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

**თარაზულად:** 5. კლიენტთათვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 6. სამაგიეროს გადახდა; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. საჭმელთა ჩამონათვალი; 10. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 11. თონეში გამომცხვარი პური; 13. ნეპალის დედაქალაქი; 14. დაბალი ხარისხის ალმასი; 16. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 18. საშობაო სიმღერა; 20. მუსიკალური გამის მესამე საფეხური; 21. ქალაქი იმერეთში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## ობყფ ყxვც3იბ უფვxმდც.ყც,ეაბ h3xცდx3ლც,ბც გფცაე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მატლი; 2. სტატია; 4. პუდრეტი; 5. კატარი; 6. ნეისმიტი; 7. მიუნჰენი; 10. დიეზი; 12. კალმახი; 13. სისტოლა; 16. წიფელა; 17. ნებიერი; 18. ფორუმი; 19. თუთუნი; 21. შველი.

**თარაზულად**: 3. პარაპეტი; 8. ჰეგელი; 9. დეტექტივი; 11. არდანი; 12. კოიოტი; 14. „ტულუზა“; 15. ლაისმენი; 20. ხოშორი; 22. სორენტო; 23. ჭური; 24. ჰელვეცია; 25. სურო; 26. „მერანი“; 27. კილტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. გუბაზი; 2. ფიესტა; 3. ფოსფორა; 4. „მალბორო“; 5. გულჩორა; 7. შავთელი; 11. „ბაფტა“; 12. ხანძთა; 13. ვაკუუმი; 14. მემფისი; 15. ხოხობი; 17. „სუძუკი“; 19. კომო.

**თარაზულად**: 5. გერუსია; 6. ჰიპოგეა; 8. ტიკი; 9. გონიო; 10. ოკრიბა; 11. ბუცი; 13. ვიქტორია; 14. მაფია; 16. ესაძე; 18. სტუკო; 20. სტიმული; 21. ბაიკერი.

# ისრაელი ირანს შურისძიებით ემუქრება

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ბანკოკში გუშინ 3 აფეთქება მოხდა, რომელთა სამიზნეები ტაილანდში ისრაელის დიასპორის წარმომადგენლები იყვნენ. ისრაელის ვიცე-პრემიერ სილვან შალონის განცხადებით კი, „გაერო-ს უშიშროების საბჭომ ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები უნდა მიიღოს“.

ამის შესახებ შალონმა ჟურნალისტებს გაერო-ს გენერალურ მდივანთან პან გი მუნთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

– ბანგკოკში, ნიუ-დელისა და თბილისში მომხდარ ინციდენტებზე პასუხისმგებლობა ირანს აკისრია და გაერო-მ ამ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება უნდა მოახდინოს, – განაცხადა შალონმა.

ბრალდებების მიუხედავად, ისრაელში ირანის მიმართ ძალისმიერი აქციის შესაძლებლობაზე ჯერ არ საუბრობენ.

ამავდროულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისრაელის თავდაცვის მინისტრი ეჰუდ ბარაკი ირანის ხელისუფლებას ბანგკოკში მომხდარი აფეთქებების გამო სამაგიეროს გადახდით ემუქრება. ამავე შინაარსის კომენტარი ისრაელის უსაფთხოების მინისტრმა იცხაკ არო-ნოვიჩმაც გააკეთა.

– ისრაელმა იცის, ვინ დგას ტერაქტების უკან და ისინი პასუხს აუცილებლად მიიღებენ, – აღნიშნა არო-ნოვიჩმა.

ყოველივეს გამო, ისრაელის პოლიცია მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა.

პოლიციამ უსაფრთხოების ზომები ყველა საზოგადოებრივ ადგილზე, აეროპორტებსა და უცხოურ წარმომადგენლობებთან გააძლიერა.

გამოიყენებს თუ არა ისრაელი სამხედრო ავიაციას ირანის წინააღმდეგ, ეს საკითხი მედიაში უკვე აქტიურად განიხილება.

– ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ამერიკა ირანის ბირთვული იარაღის განვითარების შეჩერებას შეძლებს; მე ყველა ლონეს გამოვიყენებ ამ მზნის მისაღწევად, – ბარაკ ობამა

ეს კითხვა დღეს იმდენად აქტუალურია, რამდენადაც თავად ისრაელს აღელვებს ირანის ატომური პროგრამის საკითხი, რომელსაც უდიდეს საფრთხედ მიიჩნევს. ანალოგიურ პოზიციაზეა თავად შეერთებული შტატებიც. პრეზიდენტი ბარაკ ობამას თქმით:

– ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ამერიკა ირანის ბირთვული იარაღის განვითარების შეჩერებას შეძლებს; მე ყველა ლონეს გამოვიყენებ ამ მზნის მისაღწევად.

ექსპერტების თქმით, ირანს ატომური ბომბის შესაქმნელად, შესაძლოა ურანის ერთი წლის მარაგი ქონდეს. ირანის თქმით ბირთვული იარაღის პროგრამა სამშვიდობო ხასიათისაა, თუმცა ამ ბოლო დროს გაკეთებული განცხადების თანახმად, იგი ურანის წარმოების გაზრდას მიწისქვეშა ბუნკერებში აპირებს. ირანის უმაღლესი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ საკმაოდ ნათელია:

– სიონისტების რეჟიმი უკურნებლები დაავდების მსგავსია, რომელიც ამ რეგიონს სამუდამოდ უნდა ჩამოცილდეს.

ისრაელი კი ამასობაში შეშფოთებას ვერ მალავს, რომ თუ სათანადო ზომები დროულად არ იქნება მიღებული, თეირანის შეჩერება ბირთვული იარაღის განვითარებზე უკვე გვიანი იქნება.

რობერტ სატლოფი ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკის ვაშინგტონის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია:

– სამწუხაროდ, კონფლიქტის დასაწყებად ყველა პირობა უკვე შექმნილია. ეს ყველაფერი კი ირანის უარმა განაპირობა მსოფლიოს ქვეყნების თხოვნაზე ბირთვული იარაღის პროგრამის შესაჩერებლად.

სატლოფი იმასაც ვარაუდობს, რომ შეერთებული შტატები, ირანის წინააღმდეგ დაწყებულ ნებისმიერ სამხედრო ოპრეაციაში მიიღებს მონაწილეობას. ამ საკითხზე პრეზიდნტმა ბარაკ ობამამ კონეტარიც გააკეთა:

– ჩვენი მტკიცე პოზიცია ისრაელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ორ ქვეყანას შორის მჭიდრო სამხედრო თანამშომლობას გულისხმობს.




შეერთებული შტატები ისრაელს ისეთი იარაღით ამარაგებს, რომლითაც მიწისქვეშა საფრთხის განადგურებაც შესაძლებელია, ისეთი როგორიც ირანის ურანით გამდიდრებული საწარმოებია.

პარალელურად, შეერთებული შტატები და მისი მოკავშირე დასავლეთის პარტნიორები, იმედოვნებენ რომ ირანის საბანკო სისტემასა და ნავთობის ინდუსტრიაზე დაწესებული უმკაცრესი სანქციები, ირანს ბირთვული იარაღის შეჩერებას აიძულებს. ირანის უმაღლესი ლიდერის თქმით კი ირანი უკან დახევას არც ერთ შემთხვევაში არ აპირებს.

ირანს ახლო აღმოსავლეთში ბალისტიკური რაკეტების დიდი მარაგი აქვს რასაც იგი, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს კიდეც. ისრაელის თავდაცვის მინისტრის ეჰუდ ბარაკის განცხადებით კი ირანის ბირთვული ამბიციების დაცხრომას ისრაელი დიდხან არ დაელოდება. ამასთანავე საინფორმაციო სააგენტოებით შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის ლეონ პანეტას განცახდებაც ვრცელდება, სადაც ბატონი პანეტა აღნიშნავს რომ ისრაელს ირანზე თავდასხმა უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში შეუძლია. ამასობაში კი თეთრი სახლი და ისრაელი, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ბირთვული პროგრამის შესაჩერბლად, ირანისათვის გარკვეული ვადების დაწესებაზე შეთანხმებას ცდილობენ.

# პუტინის მომხრეები 23 თებერვალს მიტინგს ჩაატარებენ

ვლადიმერ პუტინის მომხრეები 23 თებერვალს სტადიონ „ლუჟნიკის“ ტერიტორიაზე მიტინგს ჩაატარებენ. მოსკოვის მერიამ ამ აქციის ჩატარებაზე სანქცია უკვე გასცა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მიტინგის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მათ მერიის წარმომადგენლებთან მიტინგის მარშრუტი და მასზე დამსწრე ადამიანების რაოდენობა უკვე შეათანხმეს. შეთანხმების მიხედვით, მიტინგი ადგილობრივი დროით 11:30 საათზე დაიწყება და 14:30 საათზე დასრულდება. მიტინგის ორგანიზატორებს შეკრებაზე 100 ათასი ადამიანის გამოყვანის უფლება აქვთ.

მედიაში აქტიურად განიხილება საკითხი, თუ ვინ რა დასკვნა გააკეთა 4 თებერვლის მიტინგების შემდეგ.

რუსეთის ოპოზიციისათვის, რომელიც პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტობის კანდიდატის ვლადიმირ პუტინის გადადგომას ესწრაფვის, ბოლოტნაიას მოედანზე ათეულ ათასობით ადამიანის გამოსვლა მძვინვარე ყინვაში იმას ნიშნავს, რომ საპროტესტო განწყობა ძლიერდება, თუმცა პუტინის პრეს-მდივანს დმიტრი პესკოვს, როგორც ის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში შენიშნავს, მიაჩნია, რომ პოკლონნაია გორაზე მოწყობილი მთავრობის მხარდამჭერი დემონსტრაცია საპირისპიროზე მეტყველებს:

– დამაჯერებელი მხარდაჭერა, რაც ჩვენ „პოკლონნაია გორაზე“ ვიხილეთ, და ასევე მშრალი ციფრები სოციოლოგებისა სრულიად გარკვევით იმაზე მეტყველებს, რომ პუტინი საპრეზიდენტო არჩევნების პირველსავე ტურში მიაღწევს გამარჯვებას.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პუტინის მომხრეთა რაოდენობა 138 ათას კაცს ითვლიდა, მაშინ როცა ოპოზიციის მიტინგზე დაახლოებით 80-100 ათასამდე კაცი გავიდა.

თუმცა, ამ გამოთვლების სირთულე ისიცაა, რომ რუსეთის ხელისუფლებას აქვს ტენდენცია გაზარდოს თავისი მომხრეების მიტინგის მასშტაბი და დააკნინოს ოპოზიციის მომხრეებისა.

ასე იყო 10 დეკემბერს, როდესაც პოლიცია აცხადებდა, რომ ოპოზიციის მიტინგს 25 ათასი კაცი დაესწრო, მაშინ, როცა დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა 70 ათასი დათვალეს.

დაახლოებით ანალოგიური სურათი განმეორდა 24 დეკემბერს, როდესაც ნეიტრალურმა წყაროებმა ოპოზიციის მიტინგზე დაახლოებით 80 ათასი კაცი დათვალეს. პოლიცია კი აცხადებდა, რომ ანტისამთავრობო მსვლელობაში მხოლოდ 28 ათასი კაცი მონაწილეობდა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პუტინს უბრალოდ სურს დაბლოკოს ნებისმიერი საუბარი პოლიტიკურ რეფორმებზე, როდესაც ამბობს: დიახ, აი, თქვენ გამოდიხართ და ჩვენც გამოვდივართ...



ციფრების მანიპულირების გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, კრემლის მომხრეთა მიტინგის ორგანიზატორებს შეკრებაზე იძულების წესით მიჰყავდათ ხალხი, ურჩებს კი სამსახურის დაკარგვით ემუქრებოდნენ. ბავშვთა ცენტრის უფროსმა ელენე ტრავინამ „ნოვაია გაზეტას“ უამბო, თანამდებობა იმის გამო დამატოვებინეს, რომ არ ვუბრძანე სკოლის 8 მასწავლებელს დასწრებოდნენ პუტინის მხარდამჭერ მიტინგსო.

თუმცა, მიტინგზე იძულებით ხალხის მიყვანას გამორიცხავს რუსეთის მთავრობის პრესმდივანი დმიტრი პესკოვი:

– ადამიანს ვერ აიძულებ მიტინგზე წასვლას. ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. შეიძლება შესთავაზო, მოუწოდო წავიდეს მიტინგზე, მაგრამ თუ ადამიანს არ უნდა, არ წავა.

სხვათა შორის, პუტინის მხარდამჭერი მიტინგის მასშტაბებში თავად რუსეთის ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ ადამიანებსაც კი შეაქვთ ეჭვი. სკეპტიკოსთა შორისაა სერგეი მარკოვი, პუტინის მომხრე ანალიტიკოსი და წინა მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს წევრი მმართველი „ედინაია როსიადან“. როგორც მარკოვმა 4 თებერვალს უთხრა „ინტერფაქსს“, პოლიცია მოსახლეობას გაბერილ ციფრებს აწვდიდა „პოკლონნაია გორაზე“ მყოფი ადამიანების შესახებ, რომელთა რაოდენობა 15 ათას კაცს არ აღემატებოდა.

თუმცა ციფრების გამო აღფრთოვანებას არასწორად მიიჩნევს ოპოზიციური აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ვლადიმირ რიჟკოვი, რომლის აზრითაც, 4 თებერვალმა და პუტინის მესიჯებმა რუსეთის ოპოზიცია უნდა დააფიქროს:

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პუტინს უბრალოდ სურს დაბლოკოს ნებისმიერი საუბარი პოლიტიკურ რეფორმებზე, როდესაც ამბობს: დიახ, აი, თქვენ გამოდიხართ და ჩვენც გამოვდივართ... თქვენ გინდათ რეფორმები, მაგრამ, აი, კიდევ უფრო მეტია იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც რეფორმები საერთოდ არ სურსო. ამიტომ გუშინდელმა დღემ მე მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. ვიცი, რომ ბევრი ჩემი მეგობარი საორგანიზაციო კომიტეტიდან ეიფორიაშია, ძალიან უხარიათ, რომ ყინვაში ამდენი ადამიანი გამოვიდა. მე კი მძიმე განწყობა მაქვს, რადგან გუშინ დავინახე პუტინის გზავნილები: იმედიც კი ტყუილად გაქვთ, არ იქნებაო არავითარი პოლიტიკური რეფორმები.

ამ ფონზე, კრემლის მმართველმა განაცხადა, რომ აუცილებელი პირობა არ არის, საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში მან გაიმარჯვოს. მაგრამ ამ ყოველივეს დასძინა, რომ არჩევნების მეორე ტურმა, შესაძლოა სიტუაცია პოლიტიკურ დესტაბილიზაციამდე მიიყვანოს. პუტინის ორაზროვანმა განცხადებამ საფუძველი დაუდო ახალ პოლიტიკურ ინტრიგას. ხელისუფლებას ახლა მოქმედების ორი ვარიანტი აქვს. ოთხი მარტის არჩევნებში მათ შეუძლიათ პუტინისთვის უზრუნველყონ ხმების 50 პროცენტზე მეტი, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად გაჩნდება აზრი, რომ არჩევნები არასამართლიანად ჩატარდა, იმისათვის რომ პრემიერ-მინისტრს გაემარჯვა.

ამან კი, შესაძლოა, ისედაც არეული ქვეყანა კვლავ ახალ, მძლავრ საპროტესტო აქციებამდე მიიყვანოს.

ან კრემლმა შეიძლება მიიღოს შედეგი, რომელიც რეალური იქნება და რომლის შედეგადაც პუტინი ხმების 50 პროცენტზე მეტს ვერ დააგროვებს. შემდეგ კი გავლონ სამი კვირა არჩევნების მეორე ტურამდე, სადაც ალბათ კვლავ გარკვეული საშუალებებით გაამარჯვებინებენ პუტინს – აცხადებენ სპეციალისტები.

– რა თქმა უნდა ჩემს კანდიდატურას არ წამოვაყენებდი, გამარჯვების იმედი რომ არ მქონოდა. მესმის და ვფიქრობ, რომ თქვენც კარგად გესმით, რომ არჩევნების მეორე ტური იქნება ბრძოლის გაგრძელება, რომელიც არსებული პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანს. მაგრამ აქ საშიში არაფერია. მე ამისთვის მზად ვარ, – აღნიშნა კრემლის ბატონპატრონმა.

ექსპერტების აზრით, ის ფაქტი, რომ პუტინს ასეთი აზრის გამოთქმა მოუწია, გამოწვეულია ამომრჩევლების უკმაყოფილებით. უკმაყოფილება კი პუტინის განცხადებამ აღძრა, სადაც ეს უკანასკნელი ამბობს რომ იგი ჩაანაცვლებს დიმიტრი მედვედევს და რუსეთის ფედერაციას უმეთაურებს მესამე საპრეზიდენტო ვადის საშუალებით. მედვედევმა კი მის სურვილს თავი დაუხარა და განაცხადა, რომ გზას უთმობს ბატონ პუტინს იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მასთან შედარებით უფრო პოპულარულია ამომრჩევლებში.

2008 წლის არჩევნებში, ხმების 70 პროცენტით, მედვედევმა. 2004 წელს პუტინმა გაიმარჯვა პირველ ტურში ასევე ხმების 70 პროცენტით. 2000 წელს კვლავ პუტინმა და კვლავ პირველ ტურში მოიპოვა გამარჯვება, ხმების 53 პროცენტით. უკანასკნელი პრეზიდენტი, რომელმაც გამარჯვების მოპოვება მეორე ტურში, შეძლო ეს გახლავთ ბორის ელცინი და აღნიშნული ფაქტი 1996 წელს დაფიქსირდა. გამოკითხვების შედეგები კი აჩვენებს, რომ პუტინს არჩევნებში გამარჯვება ნამდვილად გაუძნელდება. სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ პუტინის მომხრეების პროცენტული რაოდენობა ოცდაჩვიდმეტს არ სცდება. ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციების განცხადებით, ეს რიცხვი 49 პროცენტია.

ვლადიმერ პუტინი (დ. 7 ოქტომბერი, 1952, ლენინგრადი რუსეთის სფსრ) – რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2000-2008 წლებში. ამ პოსტზე შეცვალა ბორის ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს. 2008 წლის 8 მაისიდან არის რუსეთის პრემიერ-მინისტრი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

შვილები შოთა და ბექა ბალარჯიშვილები, რძალი ხათუნა ქარდავა, შვილიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ბაადურ ბალარჯიშვილის**

გარდაცვალებას.
დაკრძალვა: 16 თებერვალს, 13 საათზე.
მისამართი: თელავი, ლეონიძის ქ.№64.

ნინო ნადარაია მწუხარებით იუწყება

**ბაადურ ბალარჯიშვილის**

გარდაცვალებას.

ნუგზარ ფიფია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**გოგა ფიფიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბპბს უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 16 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** დოკ. ფ. "ვერა ვონგი" **14.00** აღმოაჩინე საქართველო **14.30** მხ. ფილმი **"ცასა და დედამიწას შორის"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მაგნატი"** (12) (რ. დე ნირო) **04.00** მხ. ფილმი **"როზანას საფლავი"** (ჟ. რენო)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"იმპერია"** **01.00** მხ. ფილმი **"მოკლე ისტორიები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** **100** გრადუსი (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ქართ. ფილმი **"უძინართა მზე"** **00.20** ინტუიცია **01.10** მხ. ფილმი **"გამოსასყიდი"** (12) (პ. ბროსნანი) **03.10** მხ. ფილმი **"კასაბლანკა"** (ი. ბერგმანი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვმარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი (გან.) **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.20** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"იავნანა"** **13.30** კონცერტი – ფოლკ. ანსამბლი "ჩოხოსნები" **15.05** განთიადის სუტმარი **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.50** მხ. ფილმი **"თხუნელა"** **17.30** დრო და ტრადიციები **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.25** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ცისკრის ზარები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **22.25** დოკ. ფილმი "ვაჟკაცს კარგ უნდა ჰ ყვანდეს ცხენიო" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი "სიყვარულის ცეცხლი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფილმი "ერთი ჭოროხის შვილები"

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**16 თებერვალი**

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2–5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0–3, ღამით — -5 -2




ფ³ბყლბც გ³ჯუყჯ³ბ !^ სტ,ტ³ეჯბცსებც

# გაზეთი ახალი თაობა“ გთავაზობთ სერიას

**32 ტომი**

# მსოფლიო დეტექტივების სეიფი

ტომი 1. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. დათარსული კაცი.
2. ართურ კონან დოილი. მოწამლული სარტყელი. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.
3. სიდნეი შელდონი. ნიღაბჩამოხსნილი სახე. უცნობი სარკეში.
4. აგათა კრისტი. მივიწყებული მკვლელობა.
5. ჯადსონ ფილიფსი. სახლი მთაზე. ჭორების ქალაქი.
6. როს მაკდონალდი. კვალს მივყავართ ელ რანჩოში.
7. ჯონ დიქსონ კარი. იმპერატორის საბურნუთე. სიკვდილი არარსებულ ოთახში.
8. ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი.
9. დეშილ ჰემეთი. მინის გასაღები. უაზრო საქმე.
10. ბორის აკუნინი. ლევიათანი.
11. ჩარლზ პ. სნოუ. სიკვდილი იალქნის ქვეშ.
12. დიკ ფრენსისი. ფავორიტი.
13. რაიმონდ ჩანდლერი. ქალი ტბაში.
14. სეიტო მაცუმოტო. მკვიდრთა სამყარო.
15. სირილ ფეირი. წმინდა ინგლისური მკვლელობა.
16. ფრიდრიხ დიურენმატი. ავარია.
17. ჟორჟ სიმენონი. ყვითელი ძაღლი.
18. ბუალო-ნერსჟაკი. ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს.
19. იჟი ედიგეი. თვითმკვლელის ანდერძი.
20. ფრედ ვარგასი. წამოდექით, მიცვალებულებო!
21. ედგარ ალან პო. მკვლელობა მორგის ქუჩაზე.
22. ჯონ ლე კარე. მკვლელობა ჯენტლმენურად.
23. ჰაინერ რანკი. მწვანე მოჩვენება.
24. ჯეფრი ჰადსონი. საგანგებო შემთხვევა.
25. კრისტინ ზემსკი. ოქროს საცეცები.
26. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. ქვის ჯუნგლი. მოწმეები არ იქნებიან.
27. პერ ვალე. 31-ე განყოფილების დაღუპვა.
28. ერლ სტენლი გარდნერი. ცალთვალა მოწმის ჩვენება.
29. როს მაკდონალდი. უკანასკნელი მზერა.
30. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი I.
31. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი II.
32. აგათა კრისტი. სიკვდილი ღრუბლებში.

**მუქი შრიფტით აღნიშნულია უკვე გასული წიგნები**

# ყოველი შაბათის ნომერში

**!! სტ,ტ³დკბლფყ უფბ.ბლტ,ფ ნჯვბ * 2** ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი


erTaderTi yovelkvireuli sportuli Jurnali

# სპორტსიახლენი



# 1 თებერვლიდან

ეყბრფკე³ბ გ³ჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-19 ტომი

# ხბყუბპ .ფტყბ

უფპტსბ ლფ ობუყბ ტპსფლ * კფ³ბ


·დტჯფვ უფბსეფჯბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

fcnhjghjuyjpb !^ სტ,ტ³ეჯბცსებც

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ლომი** — საქმე წინ მიდის, ფულს შოულობთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — საქმე არ შეწყვიტოთ, ეცადეთ, ბოლომდე მიიყვანოთ. **ღრიანკალი** — პრობლემები აღარ გაქვთ, გილოცავთ! **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — დიდი ბედნიერება გელით. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე.

უბცე³ეტ,ს ,ტღყბტ³ ღქტც=

h³xცეx³ებ ფ

**შვეულად:** 1. ირმებ ან ძაღლებ შებმული მარხილი ჩრდილოეთის ქვეყნებში; 2. სახელმწიფო ევროპაში; 4. საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ფისი; 5. ბალერინას საცეკვაო ფეხსაცმელი; 6. პლანეტა ვენერას ძველი სახელწოდება; 7. დიდი სარეკლამო სტენდი, პლაკატი; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. მშრალად მოხარშული ცხვრის ან ძროხის ხორცი; 13. დამანგრეველი ძალის ქარი; 16. საბატონო გადასახადი ფულით ან ნატურით ძველად; 17. საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება; 18. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 19. შტატი აშშ-ში; 21. თურქეთის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 3. დანიასა და შვედეთს შორის მდებარე სრუტე; 8. პენალტი ჰოკეიში; 9. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 11. პოლიგრაფიული საწარმო; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი აჭარაში; 14. ფრანგი კომიკოსი; 15. ყველაზე ძველი უნივერსიტეტი აშშ-ში; 20. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 22. ქორ-შევარდენთა გამწრთვნელი; 23. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 24. გაველურებული ცხენი; 25. კამეჩის ნაშიერი; 26. ფრანგი კინორეჟისორი; 27. სახელმწიფო ბალტიისპირეთში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

